№ 14—15

1934

ეროვნული ბიბლიოთეკა



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით.

ორკვირეული მასიური სამხატვრო პოლიტიკური ჟურნალი

# დროშა

რედაქტორის ნახვა შეიძლება ყოველდღე 12-3 საათამდე. მისამართი: წულუკიძის ქ. 8.

№ 14—15 ტფილისი გაზ „კომუნისტის“ გამ-ბა 1934

ეროვნული ბიბლიოთეკა

✦★✦

## შინაარსი

დიდი ქვეყნის მწერალთა ყრილობა
ე. ლონგფელო—„ჰაიავატა“
ე. წ—ძე. ვინ მოაწყო მკვლელობა სარაევოში
ს. ხუნდაძე—ცნობები კ. მარქსის შესახებ 70-80 წლების ქართულ საზოგადოებაში
ა. კოკილაშვილი — თვითფრინავით მთა-თუშეთში
დ. გაჩეჩილაძე—ქალაქის დაბადება
ლეო შენგელაია—ამხ. კამო
კ. მელაძე—სასიხარულო გამარჯვება
თ. რაზიკაშვილი—ყორანი
მ. დუდუჩავა – თ. რაზიკაშვილის მოთხრობა „ყორანი“
ლ. ქიქოძე—საქართველოს საბჭოთა ქახდაკება

✦★✦



თვითფრინავით მთა-თუშეთში

სურათზე: ჩვენი ჟურნ. თანამშრომელი ამხ. არ. კოკილაშვილი მთა თუშეთის თემსაბჭოს აქტივთან. შუაში თემ. საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ალ. უთმელიძე

პ.-მგ. რედაქტორი: ვ. მაჭავარიანი
სარედაქციო კოლეგია: კონსტ. ლორთქიფანიძე, გრ. მუშიშვილი, აკ. ჭყონია, ლევ. ასათიანი, ალ. სულავა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დიდი ქვეყნის მწერალთა ყრილობა

პროლეტარულ დედა ქალაქში მოსკოვში 17 აგვისტოს გაიხსნა მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობა. პროლეტარიატის საამაყო ქალაქში თავი მოიყარა ჩვენი დიადი სოციალისტური ქვეყნის მხატვრული სიტყვისა და აზრის ოსტატებმა.

მწერალთა საკავშირო ყრილობა არის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის ფაქტი, რომელსაც არა ყავს პრეცედენტი მსოფლიო ისტორიაში.

ასეთი ყრილობა მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს სოციალიზმის მშენებელ ქვეყანაშია შესაძლებელი, სადაც მწერლობა გაერთიანებულია სოციალიზმის ბრძოლის უდიდესი იდეით. მწერალთა ეს ყრილობა არის სოციალისტური კულტურის უდიდესი ზეიმი. ნამდვილი ინტერნაციონალიზმის სულით გაჟღენთილი ყრილობაზე შეკრებილია ჩვენი დიდი ქვეყნის ყველა ეროვნებათა მწერლობის საუკეთესო წარმომადგენლები. მათ შორის ისეთი ხალხის წარმომადგენლები, რომელთა კულტურისა და მწერლობის ისტორია ოქტომბრის რევოლიუციის დღიდან იწყება.

ასეთი ყრილობა შეიძლება მოწყობილიყო მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, სადაც იქმნება ახალი კულტურა, სადაც გონივრულად იყენებენ საუკუნეობით შექმნილ კულტურულ მემკვიდრეობას.

„პროლეტარიატი ახალგაზრდა მხნე შემოქმედებითი სიხარულით და ამოუწურავი ძალებით აღსავსე კლასი მხოლოდ იგი წარმოადგენს ჩვენს ეპოქაში ახალ კულტურის მოწინავე მეცნიერებისა და ტექნიკის მაღალი იდეებით აღსავსე ხელოვნების მატარებელს. მხოლოდ მისი ბატონობა უზრუნველყოფს ნამდვილ პროგრესს კაცობრიობის კულტურის ყველა დარგში“ სწერდა „პრავდა“ ამ ყრილობის გახსნის წინ თავის მო[illegible]და იქვე ხაზს უსვამდა „არავის არ ეჩვენება უცნაურად, რომ მწერალთა ყრილობას ამზადებს მთელი ქვეყანა“.

მართლაც და სხვა ქვეყნისათვის შეუძლებელი მოვლენაა ის ენტუზიაზმი, რომლითაც მწერალთა ყრილობას შეხვდა ჩვენი ქვეყანა ,ვინაიდან ეს მწერლობა გამოხატავს ჩვენი ქვეყნის სიდიდეს და საამაყო საქმეს.

„მსოფლიოს თანამედროვე მწერალთაგან უდიდესი მწერალი ოდესღაც სათავეში სოციალიზმის ქვეყნის დიდ ლიტერატურას“ სწერდა „იზვესტია“ ყრილობის შესახებ. „გორკი დაიწყებს ყრილობის მუშაობას თავისი ბრძნული სიტყვით საბჭოთა ლიტერატურის საქმეებისა და დღეების შესახებ. დაძაბული ყურადღებით მოისმენენ მის სიტყვას არა მარტო ყრილობაზე შეკრებილი მწერლები, არამედ მთელი ჩვენი ქვეყანა.

მაქსიმ გორკიმ უკვე წარმოსთქვა თავისი სიტყვა რომელსაც „პრავდამ „ეპოქის დროშა“ უწოდა. გორკიმ ბრძნულად აღნიშნა „ამ ყრილობით ვახდენთ არა მარტო ჩვენი გეოგრაფიული გაერთიანების დემონსტრაციას, არამედ ვახდენთ ჩვენი მიზნის მთლიანობის დემონსტრაციას, რომ ყრილობის მიზანია დარაზმოს მთელი ჩვენი საბჭოთა კავშირის ლიტერატურა, როგორც ერთიანი კულტურულ-რევოლიუციონური ძალა“.

გორკიმ ხაზი გაუსვა ამ ყრილობის საერთო მნიშვნელობასაც, როცა სთქვა „ჩვენ გამოვდივართ ვლა-

დიმერ ილიას-ძე ლენინის გენიით გაშუქებულ ქვეყანაში, იმ ქვეყანაში, სადაც დაუღალავად და სასწაულო მოქმედათ მუშაობს **იოსიბ სტალინის** რკინისებური ნებისყოფა.„

დიახ, ასეთი უდიდესი მიზანი აქვს და ასეთი დიდი რეზონანსი ამ ყრილობას ჩვენი ქვეყნისათვის. მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ყრილობა იკრიბება ისეთ პერიოდში, როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში კულტურა დაკნინებისა და დაქვეითების მდგომარეობაშია, როცა აქა-იქ მას ებრძვიან აშკარა ტერორის ღონისძიებით და ქალაქის ქუჩებზე თანამედროვე რევოლიუციონურ მწერლების წიგნებთან ერთად კლასიკოსების წიგნებით კოცონებს ანთებენ, დევნიან თავიანთ ქვეყნიდან საუკეთესო და პროგრესულ ადამიანებს.

ამიტომ შემთხვევით როდია ის გარემოება, რომ საბჭოთა მწერლების ყრილობამ მიიზიდა უცხოეთის მრავალი მწერალი, რომლებისათვის საბჭოთა კავშირი გადაიქცა ერთად-ერთ იმედათ. ისინი ჩვენს ქვეყანას ინტელიგენციის სამშობლოს უწოდებენ, მასში ხედავენ საუკეთესო იდეალებისათვის ჭეშმარიტად მებრძოლ ქვეყანას. ისინი ეთაყვანებიან ამ ქვეყანას.

შემთხვევითი როდია როცა უცხოელი მწერალი ოსკარ მარია გრაფი ყრილობაზე აცხადებს საბჭოთა კავშირში პირველად ყოფნა და ამ საბჭოთა მწერლების ყრილობაზე დასწრება, ეს ანტი-ფაშისტური მწერლისათვის დიდი მოვლენაა, დაბშული გრძნობით სტოვებ იმ ქვეყანას, რომელშიაც სცხოვრობ, მაგრამ, როგორც კი გადაივლი საზღვარს და ფეხს შესდგამ საბჭოთა ტერიტორიაზე შენ უკვე გრძნობ, რომ თავისუფალი ხარ. გრძნობ მსოფლიოს გარდაქმნას და მწერალთა ყრილობა ამ გარდაქმნის სულიერი გამოხატულებაა“.

კიდევ უფრო ამაღელვებელია და ადვილად გასაგები ჩინელი მწერლის ხულან-ლანჩის განცხადება იმის შესახებ თუ როგორ ცოცხლათ მარხავენ ჩინეთში და იაპონიაში მწერლებს, როცა ისინი სიმართლეს ამბობენ, და განა მარტო ერთი და ორი საუკეთესო ნიჭიერი და დიდი მწერალი გრძნობს ჩვენი ქვეყნის ამ სიდიადეს. ჩვენი საბჭოთა ლიტერატურის უპირატესობას. განა მწერალთა ასეთი გრანდიოზული ყრილობის ფაქტიც არ ამტკიცებს ამას.

რომელ ქვეყანაშია შესაძლებელი კულტურისა და მწერლობის მსგავსი ტრიუმფი. ან როგორ საუკეთესოდ სწერდა ამის შესახებ რუსი პოეტი ნ. ტიხონოვი, სად რომელ ქვეყანაში შეუძლია პოეტს წაუკითხოს თავისი ლექსები ათი-ათასიანი აუდიტორიას. სად რომელ ქვეყანაშია შესაძლებელი მწერალთა ყრილობა, რომელზედაც ასეული მწერლები ეძებენ მთელი მსოფლიოს მშრომელთა სამშობლოს ცხოვრების გამოხატვის საშუალებებს.

კაპიტალიზმის ქვეყნებში სდევნიან მწერლებს სიმართლისათვის საბჭოთა კავშირში მწერლებისაგან სიმართლის თქმას მოითხოვენ. რა უდიდესი ერთმანეთის საწინააღმდეგო განსხვავებაა, ლიტერატურა ჩვენში ცხოვრების აქტუალური ძალაა. საბჭოთა მწერლის სახელი საპატიო და საყვარელი სახელია. ჩვენი ლიტერატურის გზა სოციალისტური რეალიზმის გზაა. სოციალისტური რეალიზმი მხატვრისაგან მოითხოვს სინამდვილის სწორ, ისტორიულად კონკრეტიულ გამოხატვას რევოლიუციურ განვითარებაში.

საბჭოთა მწერლების ამ საკავშირო ყრილობამ ერთხელ კიდევ საუკეთესოდ დაამტკიცა, რომ ბოლშევიკები არიან კულტურისა და ხელოვნების უდიდესი მესვეურები, რომ ის ერთსულოვნება, რომელსაც ადგილი აქვს ამ ყრილობაზე, მრავალ ნაციონალურ საბჭოთა ლიტერატურას შორის—შექმნილია საბჭოთა კავშირის ხალხთა [illegible] ერთიანობის მტკიცე საფუძველზე, რომ ეს ყრილობა საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთიანობის დემონსტრაციაა რაც ყოვლად შეუძლებელი იყო მეფის წარსულში და იმ წარსულის ტირანიისაგან განთავისუფლების უდიდესი მაჩვენებელია.

ყრილობამ მოისმინა ათი მოხსენება ნაციონალურ ლიტერატურათა შესახებ. ეს მოხსენებები საბჭოთა კულტურისა და საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ხალხთა ერთიანობისა და აყვავების უდიდესი გამოხატულებაა. „ამ ყრილობაზე შეკრებილი არიან არა თუ მარტო მწერლები სწერდა „პრავდა“ არამედ მრავალნაციონალური საბჭოთა კავშირის ხალხები, რომლებიც აჯამებენ თავიანთი კულტურული აყვავების შედეგებს.

ლენინისა და სტალინის იდეები ამოძრავებენ საბჭოთა კავშირის ხალხებს. ამავე იდეებით სულდგმულობ მწერალთა ყრილობა. **სტალინის** სახელის ყოველ ხსენებაზე უდიდესი სიყვარულითა და პატივსცემით იმსჭვალება მთელი ყრილობა და დელეგატები ფეხზე დგებიან.

ყრილობაზე მოსმენილი იქნა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის **ამხ. მალაქია ტოროშელიძის** ვრცელი მოხსენება საქართველოს ლიტერატურის შესახებ. ქართველი მწერლები საკავშირო ყრილობაზე წარსდგენ ღირშესანიშნავი მიღწევებით. ამ მიღწევების დემონსტრაციას წარმოადგენდა საქართველოს მწერალთა კავშირის წარმომადგენლის მალაქია ტოროშელიძის მოხსენება.



საქ. მწერალთა ყრილობის პრეზიდიუმი.

# ჰ ა ი ა ვ ა ტ ა

## ჰენრი უოდსუორთ ლონგფელო

(ნ ა წ ყ ვ ე ტ ი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიტჩი-გუმის ნაპირებზე,
დიადი ზღვის ნათელ წყალთან
ზაფხულის ერთ ლამაზ დილას
ჰაიავატა ისვენებდა
და ვიგვამის იდგა კართან.
ჰაერი კი სავსე იყო
რაღაც შვებით და სიგრილით,
მიწაც თითქოს მოილხენდა
და მეზობლად მომდგარ ტყეში
დაფრინავდა ოქროსფერი
მოფუსფუსე ფუტკრის გუნდი,
ტკბილი თაფლის მკეთებელი,
მზის ნათელში მოპრჭყვიალე.
ცას გაჰქონდა ბრწყინვა მშვიდი,
გიტჩი გუმიც მშვიდად იდგა.
სიღმიდან კი ხტოდა ნამა
და ელავდა მზის ნათელში;
ტბის ნაპირის ულრანი ტყე
მეზობლობდა სუფთა სარკეს
და უმზერდა ჩრდილებსავით
კენწეროებს უძრავ წყალში.
ჰაიავატის მაღალ შუბლზედ
გამქრალიყო სევდის კვალი,
როგორც ჯანღი მდინარიდან,
ან მინდვრიდან ნისლის თექა,
სიხარულის აჩნდა ღიმი,
საზეიმო რამ ნიშანი,
თითქოს ხილვას მისცემოდა,
საოცარ და საოცნებოს,
ან დიადი ამბის ლოდინს—
ის იდგა ჰაიავატა.
ჩამავალი მზისკენ ჰქონდა
ორივ ხელი მას გაწვდილი
და გასული თითებს შორის
მის სახეზედ თითებს სცემდა,
ჰაიავატას შიშველ მხრებზედ
ისე სჩანდა სხივის ლაქა,
როგორც მუხის მუქ ფოთლებში
შემოჭრილი მზის ნათელი.
წყალში ცურვით, წყალზე ფრენით,
შორეული ნისლის ბინდში,
დილის ნისლში მოხაზული
შორს გამოჩნდა წყალში რაღაც,
მოსცურავდა. მოფრინავდა
ნაპირისკენ ახლოს, ახლოს.
ვარხვი იყო იგი, შადა?
თუ მინგების—ტბების იხვი?
თუ შუჰ-შუჰ-გა, ლურჯი ჩანჩა?
ან და ბატი — ვოვბი ვავა,
წყლის ნაკადთან რომ თამაშობს
მოლაპლაპე თეთრი ფრთებით?
არც ვარხვია და არც იხვი,
არც ბატია და არც ყანჩა,
წყალში ცურვით, წყალზე ფრენით
რომ გამოჩნდა დილის ნისლში,
ის არყის ხის ნავი იყო
და ხან სჩანდა მზის ნათელში
ხან კი ისევ დაძირული
ყვინთაობდა ტბაში ცელქად.
და იმ ნავით ნაპირისკენ
მოდიოდა უცხო ხალხი,
მოდიოდა უშორესი
დილის ქვეყნის სამეფოდან.
და ვაბუნის ქვეყნებიდან
მოაფრენდა ნავი მისანს,
თეთრ კანიანს, ლოცვის ქურუმს
მხლებლებითა და ამალით.
კეთილშობილ ჰაიავატას
გაეწვდინა მათკენ ხელი,
აქ დახვდერის კეთილ ნიშნად
ის ზეიმით იდგა სავსე,
სანამ არყის მცირე ნავი
არ მოადგა კლდოვან ნაპირს,
სანამ შავით შემოსილი
თეთრი სახის უცხო კაცი
არ მოვიდა და სიმშვიდით
გადმოვიდა იმ ნაპირზედ.
ჰაიავატამ ალტაცებით
მოახსენა ახალ მოსულთ:
„უცხოელნო, ლამაზია
ეს მზე, როცა თქვენ მოხვედით!
თქვენ მოგელით ჩვენი ხალხი
და კარები ყველა ღია
ვიგვამებში შესასვლელად
თქვენ მოგელით გულით ყველას.
„არასოდეს ულხენია
დედამიწას ასეთ შვებით,
არასოდეს უბრწყინვია
მზეს ასეთი ალტაცებით,
არასოდეს ეს ჩვენი ტბა
არ ყოფილა ასე მშვიდი:
თქვენ, მარადჟამს აბორგებულს,
მოაშორეთ კლდე და ვიშა.
„არასოდეს ეს თამბაქო
არ ყოფილა ასე ტკბილი,
არასოდეს არ ჰქონიათ
ყანებს ასე კარგი სახე,
როგორც თქვენ დღეს მოგვაჩვენეთ
თქვენი მოსვლით ჩვენთან შორით!“
მაშინ შავით შემოსილმა
უპასუხა თავ-მდაბლურად
და სიტყვები უთხრა უცხო:
„მშვიდობა შენ, ჰათავატა,
„მშვიდობა შენ, ჰაიავატა,
მოგანიჭათ ქრისტემ ყველას
შენდობა და ღვთის წყალობა,
სიხარული დედამ ღვთისამ!“
შემდეგ სათნო ჰაიავატა
შინ წარუძღვა უცხოელებს,
ბიზონისა და ყარყუმის
ტყავი მისცა დასაჯდომათ.
და მოხუცმა ნოკომისმაც
მორჩილებით წინ დაუდგა
საჭმელები ცაცხვის ჯამით,
წყალი — არყის ხის თასებით
და ჩიბუხიც, ზავის მილი,
გასტენა და მათ მიართვა.
მოხუცები სოფლის ყველა,
ერის ყველა მეომრები,
ვაბენოხი — ჯადოქრები.
და მისნები — ჯოსაკიდნი,
მედაები — ექიმები
იქ მოვიდნენ მათთან ყველა.
„რა კარგია“, უთხრეს; „ძმებო,
რომ მოხვედით შორით ჩვენთან!“
კარების წინ დასხდნენ ჩუმად,
ჩიბუხები ააბოლეს,
და დაუწყეს უფხოელებს
ვიკვამის წინ მათ ლოდინი,
სანამ შავით შემოსილი
ვიგვამიდან არ გავიდა
და სალამით თავ-მდაბლურათ
კვლავ სიტყვები უთხრა უცხო.
„რა კარგია,“ მათ სთქვეს: „ძმებო,
რომ მოხვედით შორით ჩვენთან!“
მაშინ შავით შემოსილმა
მისი მოსვლის სთქვა მიზანი,
იქ შეკრებილ ხალხს უამბო
საარაკო რამ მოთხრობა,
თუ ქალწული მარიამი
და იმისი შვილი ქრისტე,
ჩაგრულთ მხსნელი იესო ქრისტე,
ვით ცხოვრობდენ შორეული
ქვეყნების და დროის მხარეს;
ვით შრომობდა ქრისტე-ღმერთი,
მარხულობდა, ლოცულობდა;
და წყეულმა ურიებმა
ვით შეიპყრეს კაცი წმინდა
და აწამეს, ჯვარზე აცვეს;
როგორ აღსდგა იგი მკვდრეთით
და ამაღლდა შემდეგ ზეცას.
უფროსებმა უპასუხეს:
„მოვისმინეთ თქ[illegible]
მოვისმინეთ თქვენი სიბრძნე.
მოვიფიქრებთ ჩვენ მაგ ამბავს.
ოჰ, რა კარგი ჰქმენით, ძმებო;
რომ მოხვედით ჩვენთან შორით!“
შემდეგ აღდგნენ, აიშალნენ
და გასწია ყველამ მარტოდ,
ქალებსა და ახალგაზრდებს
უთხრეს უცხოთ ნაამბობი,
ამ ცხოვრების შემოქმედმა
დღეს დილით რომ მოუგზავნა
მათ ვაბუნის ქვეყნებიდან.
შუადღემ რომ მოაწია
და ჰაერი დაამძიმეს
სიჩუმემ და დიდმა ხვატმა—
მთვლემარე ხმით აჩურჩულდა
ტყე დასიცხულ ვიგვამს გვერდით,
მთვლემარე ხმით უწყო ცემა
ტალღამ თავის შიშველ ნაპირს.
ყანებში კი განუწყვეტლივ
ჭრიჭინებდა პა-პოკ-კინა.
ჰაიავატას დაღლილ სტუმრებს
ცხელ ვიგვამში დაეძინათ.
ნელა-ნელა დამწვარ მდელოს
მოეფინა ღამის ბინდი.
გრილი ღამის ახლო ყოფნამ
მზის სხივები გაამძაფრა
და ისროდა მზე გრძელ ისრებს
ულრანი ტყის შუაგულში
თითქოს სურდა, რომ გაეპო
დაჩრდილული მისი მკერდი,
დასცემოდა ყოველ საფარს
და ენახა საიდუმლო.
ჰაიავატას დაღლილ სტუმრებს
კვლავ ეძინათ ჩუმ ვიგვამში.
ჰაიავატა ადგა ფეხზე
და მივიდა ნოკომისთან,
რომ მშვიდობა ეთქვა მისთვის,
და თან ასე წასჩურჩულა:
„მე მივდივარ, ონოკომის,
მე გზა დიდი მაქვს სავალი,
დასავლეთის მხარეს მივალ
კივაიდინის მშობელ მხარეს,
სადაც ჩემი ქარი დაჰქრის
მაგრამ სტუმრებს, უცხო სტუმრებს
შენ გიტოვებ მოსავლელად,
რომ არავინ ავნოს რამე,
რომ არავინ უქმნას ავი.
რომ არ ჰქონდეთ გულში შიში,
არ მოაკლდეთ კარგი ბინა
და არასდროს არ მოშივდეთ
ჰაიავატას საბუდარში!“.
ასე სთქვა და მიატოვა
მშობლიური მან სახლ-კარი
მიაშურა თავის სოფელს,
მეომრებს და ყველა კარგებს
განუმარტა თავის ხვედრი,
უთხრა გამოსათხოვარი:
„მე მივდივარ, ხალხო ჩემო,
მე გზა დიდი მაქვს სავალი,
ბევრი მთვარე და ზამთარი
დაიგება და ისევ წავა,
სანამ კიდევ მოვიდოდე
ჩემი ხალხის სანახვად.
ჩემს სტუმრებს კი თქვენ გიტოვებთ.
მოუსმინეთ მათ ბრძნულ სიტყვას,
მოუსმინეთ მათ სიმართლეს.
ამ ცხოვრების შემოქმედმა
მოგიგზავნათ თქვენ ისინი
დილის შორი ქვეყნებიდან!“.
წყლის ნაპირზედ იდგა იგი
როცა ისევ მოტრიალდა
და სალამი უთხრა ხელით;
სარკესავით მბრწყინავ წყალში
მან ჩაუშვა თავის ნავი,
მოკვენჭილი ნაპირიდან

მან ჩაუშვა წყალში ნავი
წასჩურჩულა: „დასავლეთით!“.
და შორეულ გზას გაუდგა.
და მზემ უკვე ჩამავალმა
ლრუბლებს მისცა სისხლის ფერი
და ზეცას კი ცეცხლი მოსდო
მინდორივით მოელვარე;
მიწყნარებულ ტალღებს ზევით
როგორც გრძელი სისხლის კვალი
მიდიოდა მზის მდინარე
და მისდევდა ნელი ცურვით
ჰაიავატას მცირე ნავი.
მისცურავდა ჰაიავატა
სულ პირდაპირ, დასავლეთით,
დასავლეთით, სადაც სჩანდა
ალისფერი მზის დაისი,
ღამის ბინდი და ლრუბლები,
მზემ რომ მაინც ვერ გაჰფანტა.

და ხალხი კი ნაპირიდან
ადევნებდა თვალყურს, სანამ
ჰაიავატას მცირე ნავი
ბრწყინვალე ზღვამ არ დაჰფარა,
სანამ ნისლმა არ ჩასძირა,
ვით ახალი მკრთალი მთვარე
მიმალული ნელა-ნელა
მეწამული ფერის ზღვაში.
და წარმოსთქვა ყველამ ერთად:
„გზა მშვიდობის, სამუდამოთ!“
სთქვა: „მშვიდობით, ჰაიავატა!“
და ტყეებიც, მარტოდ მდგარნი,
შეშრიალდენ მწუხარებით
და აღმოხდათ ყველას ოხვრა:
„ოჰ, მშვიდობით, ჰაიავატა!“.
და ტალღებიც ასკდებოდენ
ზღვის ნაპირებს მქუხარებით,
ოხრავდენ და იმსხვეროდნენ;

„ოჰ, მშვიდობით, ჰაიავატა!“
და შუჰ-შუჰ-გა, ლიბრი ყანჩა,
მიყრუებულ ჭაობიდან
სევდიანად გაჰკიოდა:
„ოჰ, მშვიდობით, ჰაიავატა!“
ასე გაჰქრა ჰაიავატა,
მზის დიდების დასავლეთში,
შელამების წითელ ნისლში,
ის წავიდა მშობელ მხარეს,
კივაიდინის მშობელ მხარეს,
სადაც მისი ქარი დაჰქრის
ჩრდილო-დასავლეთის ქარი,
კურთხეულთა კუნძულისკენ
და პონიმას სამეფოში,
სადაც მხოლოდ უსაზღვრობა
და არ ყოფნა არის მეფე.

თარგმნილია ინგლისურით
გივი გაჩეჩილაძის მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ახალი სტადიონი 15000 კაცის ტევადობით.
ტფილისში მუშტაიდისა და კ. ცეტკინის ქუჩების კუთხეში სწარმოებს ფიზკულტურის ახალი სტადიონის მშენებლობა. სტადიონმა უნდა დაიტიოს 15000 მაყურებელი. აქვე მოწყობილი იქნება კინო. სასტუმრო. აუზი. ვოლეიბოლის სათამაშო მოედანი.
სურათზე: ამფითიატრის მოთავებული ნაწილის პანორამა.

# ვინ მოაწყო მკვლელობა სარაევოში

(1914—18 წ. წ. ომის 20 წლის თავის გამო)

ე. წ—ძე

იმპერიალისტები არასდროს არ ლაპარაკობენ, რომ ისინი ომის ცეცხლს ახალი ბაზრების დასაპყრობათ ანთებენ, ისინი ამჯობინებენ გამოსვლას „პროგრესის“ და „ჰუმანიურობის“ დაცვის ნიღაბით. ბურჟუაზიული ისტორიკოსების უმრავლესობა ომებს სახელმწიფოთა შორის ხსნის ქვეყნის ამა თუ იმ მმართველის ხასიათით, განწყობილებით, „ღირსების შელახვის“ ფაქტით და სხვ. ასევე ხსნიან ისინი 1914 წლის ომის დაწყებასაც. მათის სიტყვით, 1914 წ. ომი იმიტომ დაიწყო, რომ სერბმა გიმნაზიელმა 18 წლის გავრილა პრინციპმა მოჰკლა ავსტრიის ჰერც - გერცოგი ფრანც ფერდინანდი და „შეურაცყოფილმა“ ავსტრიამ ომი გამოუცხადა სერბიას, შემდეგ სერბიას გამოექომაგა რუსეთი, რუსეთს — საფრანგეთი, საფრანგეთს — ინგლისი, ავსტრიას — გერმანია, რომელმაც დაარღვია ბელგიის ნეიტრალიტეტი, ბელგიას გამოექომაგა მთელი მსოფლიო — გერმანიისა და მის მოკავშირეთა გამოკლებით და ასე დაინთო მსოფლიო ომის ხანძარი.

ჩვენ, მარქსისტებმა, კი ვიცით, რომ ომი არის სახელმწიფოთა ეკონომიური მეტოქეობის, ახალი ბაზრებისათვის, კომერციული გზებისათვის, კოლონიებისათვის ბრძოლის შედეგი. და ისეთი ფაქტები, როგორიც არის „ღირსების“ შელახვა და სხვ. წარმოადგენენ არა მიზეზს, არამედ საბაბს, რომელმაც უნდა დაჰფაროს ომის მტაცებლური მიზნები.

ავსტრიის ჰერცეგერცოგის მოკვლაც ასეთი საბაბი იყო 1914—18 წლის ომისთვის, რომლის ნიადაგი მოამზადა ინგლის - გერმანიის მეტოქეობამ და ბრძოლამ მსოფლიო პირველობისათვის. ამიტომ ინტერესმოკლებული არ იქნება მოვაგონოთ ჩვენს მკითხველებს სარაევოს მკვლელობა, მით უფრო, რომ ომის შემდეგ გამოქვეყნდა მრავალი ახალი ფაქტები, რომლებიც ახალ შუქს ჰფენენ ამ მკვლელობას.

ავსტრიის მონარქიის ულელქვეშ მგმინავი სლავიანური მოსახლეობაში, განსაკუთრებით ბოსნია - გერცოგოვინის მოსახლეობაში, ძლიერი იყო ნაციონალური მოძრაობა და ლტოლვა ავსტრიისგან გამოყოფის სასარგებლოდ. არსდებოდა მთელი რიგი ფარული ნაციონალისტური ორგანიზაციები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ სლავიანთა განთავისუფლებას; ავსტრიის ულელისაგან; (ერთ ასეთ ორგანიზაციას წარმოადგენდა.

დიდი სერბიის შექმნის იდეით გატაცებული წრების ტერორისტული „შავი ხელის“ საზოგადოება რომელსაც მეთაურობდა პოლკოვნიკი დრაგუტან დიმიტრიევიჩი და რომელსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა რუსეთის იმპერიალისტურ წრეებთან. 1903 წ. ერთ ბნელ ღამეს დრაგუტინ დიმიტრიევიჩი თავისი ძმაბიჭებით შეუვარდა სახლში სერბიის მეფეს — ალექსანდრ ობრენოვიჩს, მოჰკლა ისინი და კარაგეორგიევიჩები დასვა ტახტზე. ამის შემდეგ პოლკოვნიკი დმიტრიევიჩი მეფის მარჯვენა ხელი შეიქნა. ფართო გეგმები ჰქონდა სერბიელ პოლკოვნიკს: ის ოცნებობდა, არც მეტი არც ნაკლები, ყველა ბალკანელ სლავიანთა თავმოყრის შესახებ სერბიის გვირგვს ქვეშ. ამისათვის მან განიზრახა კარაგიორგიევიჩების ყველა მეტოქეობის—ბულგარეთის, საბერძნეთის მეფეების და მათთან ერთად ავსტრიის ტახტის მემკვიდრის — ფრანც-ფერდინანდის ლიკვიდაცია. უკანასკნელი განსაკუთრებით საშიშათ მიაჩნდა „შავი ხელი“-ს საზოგადოებას, როგორც ავტორი გეგმის რომელიც მიზნათ ისახავდა ავსტრიის სლავიანების გათანასწორებას უფლებრივად ავსტრიელებთან და უნგრელებთან ან ავსტრია-უნგრეთსლავიანთა სახელმწიფოს შექმნას. „დიდი სერბიის“ მოტრფიალენი შიშობდნენ. რომ ამ გეგმის განხორციელება ნიადაგს გამოაცლიდა ნაციონალისტურ მოძრაობას ბოსნია—ჰერცოგოვინაში და ამიტომ პირველ რიგში გადასწყვიტეს ფრანცფერდინანდის მოკვლა.

ეს განზრახვა ჯერ კიდევ 1903 წლიდან მზადდებოდა, მაგრამ „შავმა ხელმა“ მხოლოდ 1914 წლის ივნისში მისძლო მისი ასრულებში მოყვანა. 28 ივნისს ფრანცფერდინანდი თავისი ცოლით ჩავიდა სარაევოში (ბოსნიის მთავარ ქალაქში) ავსტრიის ჯარების მანევრებზე. თვით ამ დღის დანიშვნა მანევრებისათვის სერბიის ნაციონალისტურმა ინტელიგენციამ შეაფასა, როგორც შეურაცყოფა, რადგან 1389 წ. ამ დღეს სერბია სასტიკად დაამარცხა თურქეთმა და 28 ივნისი „გლოვის დღეთ“ ითვლებოდა.

როცა ეტლი ჰერც-ოგერცოტით, მისი ცოლითა და მხლებლებით ქალაქის თვითმართველობას უახლოვდებოდა, მესტამბე გაბრინოვიჩმა ბომბა ისროლა. ჰერცცერცოგი გადარჩა, დაიჭრა მხოლოდ 20 მხლებელი, ფრანც ფერდინანდი მივიდა ქალაქის თვიმართველობაში, მიიღო იქ „პურმარილი“ და როცა უკან ბრუნდებოდა მის კარეტას დახვდა 18 წლის ბოსნიელი გიმნაზისტი გავრილა პრინციპი და ორი ტყვიით მოჰკლა ერცგერცოგი და მისი ცოლი· ერთად მონაწილეობას იღებდა ავსტრიის ოფიციალური წარმომადგენელი ვერ დაამტკიცა ხელტრადის მთავრობის უშუალო მონაწილეობა მკვლელობის ორგანიზაციაში, მაგრამ მიუხედავათ ამისა, სერბიას დაეკისრა პასუხისმგებლობა—ამ ტერიტორიაზე მოხდა.

— „ახლა ან არასოდეს“!—წამოიძახა ვილჰელმ მეორემ, როცა სარევოს მკვლელობის ამბავი მიიღო· უკეთესი საბაბის შოვნა ომისათვის შეუძლებელი იყო. გერმანელმა იმპერიალისტებმა იცოდნენ, თუ რას მოასწავებდა ავსტრია—სერბიის ომი. მათ იცოდნენ, რომ სამხედრო კავშირების სისტემა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ვენის კონგრესის შემდეგ, აუცილებლად გახდიდა რუსეთის, საფრანგეთის, ინგლისის, იტალიისა, გერმანიის და სხვ. სახელმწიფოთა ჩარევას ომში·

ამიტომ გერმანიის მთავრობა ყოველმხრივ ექეზებდა ავსტრიას, რომ უკანასკნელს „სანიმუშოთ დაესაჯა“ „ვერაგი სერბები“. ბერლინში შიშობდნენ, რომ ვაი თუ სერბიამ მიიღოს ავსტრიის ულტიმატუმის პირობები და ომის საფრთხე განვლოს· როცა გერმანიის ელჩმა ბერლინს შეატყობინა, რომ ის „ყოველი მოხერხებული შემთხვევით“ სარგებლობს გააფრთხილოს ავსტრია მოუფიქრებელ ნაბიჯებისაგან“, ვილჰელმა ამ მოხსენებაზე [illegible] დაავალა მას ეს? სისულელეა!

ასევე, როგორც დიდი ხნის განმავლობაში მომზადებული სიგნალი იქნა შეფასებული სარევოში მომხდარი მკვლელობა ავსტრიაშიც: ახლა მაინც კი მოგვეცა საშვალიბა ანგარიშები გავასწოროთ სერბიასთან—ასეთი იყო ვენის გამოხმაურება სარაევოს ამბებზე.

ასევე შეაფასეს ეს ამბავი პეტერბურგის იმპერიალისტურ წრეებში, პარიზშიც და ლონდონშიც რომლებიც ათეული წლების განმავლობაში ამზადებდნენ ამ ომს და ვერავითარი „თეთრი“ და „ყვითელი“ წიგნების, პუანკარესა და სხვა მემუარისტების ფარისევლური ფრაზები იმის შესახებ, რომ სწორეთ „მის“ სურ ნას არ უნდოდა ომი, ვერ დაფარავს იმ ფაქტს, რომ გავრილა პრინციპის საშვალებით იმპერიალისტების კოლექტიურმა ხელმა დაუმიზნა რევოლვერი ომის დენთით სავსე კასრას.



**ჩვენი ქვეყნის ქალიშვილები**

ტაშკენტის პედაგოგიურ ტეხნიკუმის დამკვრელი მოწაფე ქალი, პიონერ ჯგუფის ხელმძღვანელი ზუხრა სალიკოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



უახლოეს ხანში ფუნიკულიორს ექნება წყალი.
დაწყებულია ფუნიკულიორზე წყლისასაყვანი სამუშაოები. სურათზე უმაღლესი დაწოლის მაგისტრალი.

# ცნობები კ. მარქსის შესახებ 70—80 წლების ქართულ საზოგადოებაში

(მოკლე ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა)

ს. ხუნდაძე

სოც. დემოკრატიული ორგანიზაციების ჩამოყალიბებამდე და მარქსისტული აზროვნების განვითარებამდე **კარლ მარქსისა** და მისი თანამებრძოლის **ფრიდრიხ ენგელსის** შესახებ ცნობები ქართულ ჟურნალ - გაზეთებში იშვიათად თავსდებოდა. 90-იან წლების დასაწყისიდან, როდესაც საქართველოში ა. წ. მესამე დასი ჩამოყალიბდა და გაძლიერდა კამათი მესამე დასელებისა და ქართულ ნაროდნიკების შორის, ცნობების მოთავსება და თვით კ. მარქსის დასახელება მწერლობაში უფრო გაძლიერდა. მანამდე კი კ. მარქს კანტი-კუნტად ასახელებდენ ჩვენში. პირველად როგორც ცნობებიდან ირკვევა, მარქსის სახელი გაიგო ჩვენმა ინტელიგენციამ 60-იანი წლების მიწურულებსა და 70-იანი წლების დასაწყისში, განსაკუთრებით ინტერნაციონალის საქმიანობასთან, და კავშირებით, საფრანგეთ-პრუსიის ომისა და პარიზის კომუნის ვითარების შესწავლით.

აღსანიშნავია, რომ 70-იან წლების დასაწყისში საზღვარგარეთ (შვეიცარიაში, საფრანგეთში და სხვა) 15-მდე ახალგაზრდა ქართველი სწავლობდა. მათგან რამოდენიმე (დ. მიქელაძე, შ. ჯაფარიძე, ივ. მესხი და სხვა) ხშირად გზავნიდენ კორესპონდენციებს ქართულ გაზეთში („დროება") ევროპის ცხოვრების შესახებ. ინტერნაციონალის, ომის, პარიზის კომუნის და სხვათა შესახებ). (ცხადია ისინი ეცნობოდენ კ. მარქსის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ქართულ გაზეთში მოთავსებული წერილები ინტერნაციონალის შესახებ (იხ. „დროება" № 23, 1871 წ. № 7, 47, 1872 წ.) ნათლად ამბობს, რომ ავტორებმა იცოდნენ თუ ვინ იყო ინტერნაციონალის თავმჯდომარე, თუმცა მას პირადათ არ ასახელებდენ.

ქვემოდ მოყვანილი ბიბლიოგრაფიული ცნობები, რასაკვირველია, სრული არ არის; მაგრამ იგი მაინც გვაძლევს დაახლოვებით სურათს თუ როგორი ვრცელდებოდა ცნობები მარქსის შესახებ ქართულ მწერლობაში გარკვეულ ისტორიულ პერიოდის განმავლობაში (1870-80 წლებში).

1. ჩვენ მიერ შეკრებილი ცნობით. პირველად კ. მარქსი დასახელებულია

1871 წ. „დროებაში“ 15 აპრილის ნომერში გაზეთის ერთ ერთ შენიშვნაში ვკითხულობთ:

„ამბობენ, რომ ცნობილი პარიზის რევოლუციის პლანები ლონდონში დაუწყვია მარქს, ასისს, მენსტინის და ლორენოტს, ყველა ესენი არიან სხვა და სხვა ქვეყნების წარმომადგენელნი წევრები ლონდონის, ხალხთა შორის მუშების ლიგისა“ (იხ. „დროება“ № 15, 1871 წ.)

2. **დ. მიქელაძე** (ცნობილი მევეღეს ფსევდონიმით): „ჩაფრანგებითი“) (პარიჟი 29 — იანვარი, 1873 წ. „დროება“ № 6. 1873 წ.

წერილის ერთი ნაწილი ეხება მუშათა ორგანიზებულ მოძრაობას ევროპაში: მოყვანილია კ. მარქსის ციტატები ბავშვთა საშინელი შრომის შესახებ კაპიტალისტურ ქვეყნებში, დასახელებულია თვით მარქსიც.

3) ნ. ნიკოლაძე—„ბაკუნინი“. ტიფლისკი ვესტნიკი № 143. 1876.

წერილი დაწერილია ცნობილი ანარქისტის მ. ბაკუნინის გარდაცვალების გამო. ავტორი ფელეტონში ასახელებს **მარქს** და ადარებს ბაკუნინ-ს. აყენებს მარქს მაღლა და მისი პოლიტიკა მართებულად მიაჩნია ბაკუნინის წინააღმდეგ. ნ. ნიკოლაძე პირადათ იცნობდა, ბაკუნინს შვეიცარიაში ყოფნის დროს. კ. მარქსის შესახებ მან პირადათ აი გადმოგვცა: მისი საზღვარგარეთ ყოფნის პერიოდში (1864—69) მან მიიღო წინადადება კ. მარქსისაგან მიეღო თავის თავზე ინტერნაციონალის წარმომადგენლის მოვალეობისა ა-კავკასიაში. ამ წინადადებაზე სხვა და სხვა მიზეზების გამო ნიკოლაძეს უარი უთქვამს“ კაპიტალს იგი პირველად გაცნობია რუსული თარგმანის კორექტურაში 1869 წ. ჩემს შენიშვნაზე განმეორებით და ხაზგასმით აღნიშნა — ბეჭვ-და ბეჯითად ადრე დაიწყო და მხოლოდ მოგვიანებით 1872 წელს გამოვიდა. პირველად გაგება გასჭირვებია, როდესაც ფრანგულ თარგმანში გაეცნო ხელმეორედ „კაპიტალს“, იგი დარწმუნებულია, რომ მარქსის აზრები საქართველოსათვის ვერ გამოდგებოდა.

4. **მაიაშვილი** (გ. ჩადნოვიჩი): წერილი ჩვენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ. „ივერია“ № 7-8, 8. 1882 წ.

წერილის ავტორი ცნობილი ნაროდნიკი და ზემლევოლეცია. თვით წერილი დაწერილია და გამოგზავნილი ციმბირიდან. კ. მარქს ავტორი ვერ ასახელებს, მაგრამ მის შესახებ იგი სწერს: „აი როგორ გამოსთქვამს თავის შეხედულებას ამ საგანზე ერთი უდიდესი და ულრმესად შეგნებული კაცი (იგულისხმება კ. მარქსი ს.ს.) ჩვენი დროის ამ საუკუნეებისა. კაცი ისეთი, სრულიადმა და მეტიც მეცნიერულმა წარმოდგენამ მსოფლიოზე ჰქნა დიდი ძლევა“. („ივერია“ № 7-8). ამის შემდეგ ავტორს მთლიანად მოყავს მარქსის „პოლიტიკურ ეკონომიის კრიტიკიდან“ ცნობილი შესავალი (გვ. 152-55).

5. **ბოსლეველი** (მჭედლიძე): „კრიტიკული მიმოხილვა“ — „შრომა“ № 48, № 1-3, 1883 წ.

ავტორი ეკამათება გ. მაიაშვილს აღნიშნავს პოლიტიკური ბრძოლის უდიდეს მნიშვნელობას. წერილი პირდაპირ დასახიჩრებულია ცენზორის მიერ. ავტორს ეტყობა მარქსიზმის ერთგვარი გავლენა. მარქს ბევრს ადგილას ასახელებს. იგი სწერს: „ამას მოწმობენ ევროპის სხვა და სხვა ხალხის მოძღვრებანი და ამ მოძღვრებათა უკეთესნი წარმომადგენელი. **კარლ მარქსი** თავის 1847 წლის მანიფესტში სხვათა შორის, ამბობს, რომ მუშა ხალხმა უსათუოდ უნდა მოიპოვოს პოლიტიკური უფლებანი, რომ კაპიტალისტების უღელი შემუსროს“ (შემდეგ ცენზორის მიერ არის **ამოღებული ს. ხ.**).

მჭედლიძე 1885 — წ. მოკლეს სამღვდელოების ინტრიგის ნიადაგზე ქუთაისში.

6. **ბოსლეველის** — ფელეტონი „შრომა“ № 5, 1883 წ.

ბოსლეველის წინააღმდეგ წერილი მოათავსა სტ. ჭრელაშვილმა „დროებაში“ № 16, 1883 წ. (მაიაშვილის დასაცავად. ბოსლეველი მას უპასუხებს: იგი სწერს „ჩვენ გვქონდა მოყვანილი ამის შესახებ მარქსის, ლასალის და პოლიტიკო-ეკონომიის მილის აზრი მაგრამ თუ ამან საზოგადოების ყურადღება ვერ მიაღწია, ჩვენი დანაშაული არ არის“. ე. ი. მარქსის და სხვათა ციტაცები არ გაუშვია ცენზურას.

7. **სტ. ჭრ-შვილის** (სტ. ჭრელაშვილი): საპასუხო ფელეტონი. „დროება“ № 32, 1883 წ.

ცნობილი ნაროდნიკ ჭრელაშვილი მეორედ უპასუხებს ბოსლეველს და სწერს: „ვერ გაგვიგია [illegible] ლო განმეორება, [illegible] ლეველი თავის გარჩევაში პატივსცემს მარქსისა და ლასალის ეკონომიურ აზრებს, მაშინ ფიხტე რაღა შუაშია, რომელი სიტყვის მასალაა“.

8. ნ. **ხიზანოვის** წერილი — „იმედი“ № 9, 1883 — წ. ეკამათება ბოსლეველს და იცავს მაიაშვილს.

9. **ია-ძე** (ზ. ჭიჭინაძე): „მუშა ხალხი საქართველოში“ „იმედი“ № 2, 1883 წ.

ასახელებს მარქს. იგი სწერს: „ამას არამც თუ მარტო მეხერი, არამედ თვით **კარლ მარქსი**, ფერდინანდ ლასალი. პრუდონი და ფლეროვსკიც **კი ამტკიცებენ. მეც ეს მაბედვინებს** ხმის ამოღების შესახებ მუშა ხალხისა საქართველოში“.

10. **ი. ჭავჭავაძე**: „შინაური მიმოხილვა“ — „ივერია“ № 12, 1882 წ. ან ტ. 6 გვ. 276-308.

მარქს არ ასახელებს „გამოჩენილ მეცნიერს“ უწოდებს. მოყავს მარქსიდან ციტატა. იყენებს კაპიტალისტური წარმოების განვითარების საწინააღმდეგოთ საქართველოში.

11. **ანტონ ფურცელაძე**: თხუზულებანი „წიგნი მეორე“ წერილი: „ბანკები და მათი მნიშვნელობა“.

ამ წერილში ავტორი ქვემოდ იხსენიებს მარქს (იხ. გვ. 15-16, 18, 24. 38-39. 44). ფურცელაძე უფრო ადრეც იცნობდა მარქსის ნაწერებს. მისი ზოგიერთი წერილი მარქსის თავისებური გავლენით არის, დაწერილი 1873-75 წლის „გუთნის დედა-



ამ უახლოეს ხანს დასრულდა ამიერ-კავკ. რკინის გზის სახელოვანი ადამიანთა შეკრება. სურათზე: შეკრების მონაწილეთა კრების მომენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ამხ. კალინინი აბარებს წითელი ვარსკვლავის ორდენს ამხ. ბობროვს, ჩელუსკინის მონაწილეს**

"ში". იგი ალბად მას შემდეგ გაეცნო მარქს, როდესაც 1872 წ. გამოვიდა „კაპიტალი" რუსულად. 1871 წ.) წერილში „ჩვენი სალტოლველო" რომელშიაც იგი იხილავს ბაბიოფის, სენ-სიმონის, ფურიეს, ოვენის, ლასალის და სხვათა თეორიებს, ერთი სიტყვაშიც არ იხსენიებს მარქს. ცხადია, იგი 1871 წ. ჯერ კიდევ არ იცნობდა მარქსიზმს.

12. **ნ. ნიკოლაძე** — „ლიუბლანი და გამბეტა" „ოტეჩ. ზაპისკი 1883 წ. № 1.

მარქს **უწოდებს სახელმწიფოებრივი სოციალიზმის იდეოლოგს.**

13. **(ზ. ჭიჭინაძე):** „ბიბლიოგრაფიული შენიშვნა. კ. მარქსის „კაპიტალი"-ს მეორე ტომი" „თეატრი" 1885წ. გამოვიდა რუსულად „კაპიტალის" მეორე ტომი. ჭიჭინაძის ის დამსახურება მიუძღვნის, რომ იგი როგორც ბუკინისტი ფართოდ ავრცელებდა მარქსის ნაწერებს საქართველოში. მის ბიბლიოთეკაში მოიპოვებოდა დიდძალი არალეგალური და სოციალისტური წიგნი. ბიბლიოგრაფიაში იგი სწერს: „მრავალს ჩვენს მაწვილ კაცებს წაკითხული თუ არა, გაგონილი მაინც ექნებათ გამოჩენილის და დიდათ მცოდნე პოლიტ-ეკონომიური მწერლის, ძლიერი კრიტიკოსის კარლ მარქსის სახელით, აწინდელ კაცობრიობის ეკონომიურმა მეცნიერებამ და კრიტიკამ ისეთი წერტილამდის მიაღწია მარქსის მეოხებით, რომლის მსგავსი და შესადარებლად ჯერ დიდი ხანი გავა, რომ გამოვიდეს ვინმე".

14. **ნ. ხელატოვი: „პასუხის პასუხი".** „ივერია" №17, 1887 წ. ავტორი, ნაროდნიკია, ეკამათება ი. ჭავჭავაძეს და ასახელებს კ. მარქსა და მის „კაპიტალს".

15. **ნ. გ-ლი** (ი. ჯაბადარი): „ფიქრები და შენიშვნები გარეთ ყოფილისა" „ივერია" № 100, 111, 1885 წ.

ავტორი ცნობილი ნაროდნიკია, დიდი ხნით გაგზავნილი იყო კატორღაში და გადასახლებული ციმბირში. დაგვიანებით ეკამათება გ. მაიაშვილს დასახელებულ წერილის შესახებ (იხ. №) ავტორი მარქს არ ასახელებს, მაგრამ წერის დროს იგი ყავს მხედველობაში. იგი სწერს: „ის აზრი, რომელსაც ბ-ნი მაიაშვილი მთელს თავის წერილში თავს დასტრიალებს და ამ აზრის ჭეშმარიტებას გვიმტკიცებს, ეს აზრი, ჩემო მკითხველო, ეკუთვნის წარჩინებულს საქვეყნო მეცნიერს, რომელმაც თავისი დიდათ შესანიშნავი სამეურნეო თხუზულებავით ერთი კარგი ზორბა ზუმბარა, მარჯვეთ ესროლა მთელს ქვეყნის მოქალაქეობის გაქვავებულ გულს და, თუმცა ნათლად დაგვანახა ის საზარელი სამწუხარო მდგომარეობა რომელიც ევროპის მდაბიო ხალხის ცხოვრება, მაგრამ სანიმუშოთ ისე დაგვიმტკიცა, რომ თვით კაპიტალისტურის წარმოებით მოქალაქეობის საფლავი ეთხრება და ადრე თუ მალე გლოვის ზარიც უეჭველად დაერეკება. ამ შესანიშნავ სამეცნიერო შრომის აზრი ის გახლავთ, რომ ყოველი ერის უფლებას, იმის პოლიტიკურ, სასულიერო და საზნეობო წის და წყობილებას საფუძვლად და დასაშვებად აქვს ქონებრივი ცხოვრების წესი და წარმოება... რასაკვირველია, ჩვენ ჩვენის მხრით მთლად ვეთანხმებით ამ ფილოსოფიურ აზრს, მაგრამ... საქმე ის არის, რომ იმას არა აქვს ცხოვრებაში ის პრაქტიკული მნიშვნელობა, რომელსაც ბ-ნი მაიაშვილი მიაწერს"... („ივერია" № 111,

16. გ. მაიაშვილი — „პოლემიკური წერილები" **„ნოვოე ობოზრენიე —**

ავტორი ეკამათება უცნობ ავტორს თავისუფალ ვაჭრობის შესახებ და მოყავს მარქსის ციტატები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თვითმფრინავით მთა-თუშეთში

ა. კოკილაშვილი

საღამოს ცხრა საათზე მფრინავი ამხ. მელნიკოვი მოვიდა ჩემთან მის სახეზე სიხარულია აღბეჭდილი. მხარზე ხელის დაკვრით მეუბნება: ხვალ დილით 4-საათზე უნდა ადგე, არ დაიზარო·

მე გავოცდი· დილით ადგა, ისიც 4-საათზე რათა, რისთვის, რაიკომის მდივნის ამხ. კარსანიძის დავალებით მთათუშეთში უნდა გავფრინდეთ, დავეშვათ ომალოში, შევისწავლოთ აეროდრომის მოწყობის საკითხი — მეურნება სხაპასხუპით ბორისა.

ძალიან გამიხარდა. —მთვითმფრინავით მთა-თუშეთში ეს მიუწვდომელი ოცნების და დიდი ხნის ნანატვრია. მაშ ეხლავე უნდა მოვემზადო დილისათვის, რაც საჭიროა თავით დავიწყო, რომ არაფერი დამავიწყდეს.

მთათუშეთში ვიყავი გასულ წელს· ჯერ კიდევ არ დამვიწყებია ის სიძნელეები და სახიფათო მდგომარეობა, რომელიც მაშინ განვიცადეთ მგზავრობის დროს მთელი სამი დღის განმავლობაში· მთათუშეთი თელავიდან დაშორებულია 80—კილომეტრით და მდებარეობს კავკასიონის მთების შუა-გულში. მის იქით უკვე საბჭოთა ჩეჩნეთის ავტონომიური ოლქის სოფლებია. თელავიდან მთათუშეთში მისასვლელად საჭიროა სამი დღე. დაწყებული საიდანაც იწყება გზა, მთათუშეთამდის სულ საცალფეხო ბილიკებია. ამ ბილიკებზე გავლა შეუძლიათ მხოლოდ ადამიანებს და მთის ნაჩვევ ცხენებს. გზები მეტად სახიფათოა, რადგან მეტ წილად პირდაპირ კლდეებზეა გაყვანილი და თანაც, ტინიანი ნიადაგით (ჭიიანი), რომელსაც ზოგიერთ ადგილას ჩასასვლელ ასასვლელი სიმაღლე აქვს მეტროდან ორ მეტრომდე· გზაში ყოველსაათს მოსალოდნელია ამინდის ცვალებადობა· შეიძლება მზე იყოს, მაგრამ უცბად წამოვა წვიმა, სეტყვა და თოვლი ძრიელ გრიგალთან ერთად, რომელსაც შეუძლიან მგზავრების სიცოცხლე სახიფათო მდგომარეობაში ჩააყენოს. მთათუშეთში 37 — საზამთრო სოფელია, რომელშიაც 500 — კომლამდე მცხოვრები რჩება ზამთრობით.

ეს კუთხე მთელი ცხრა თვის განმავლობაში მოწყვეტილია რაიონის ცენტრს, არც წერილობითი და არც ცოცხალი კავშირის საშუალება არ არსებობს. მთელი ზამთრის მარაგი (ფქვილი, ფართალი, ნავთი, მარილი და სხვა პროდუქტები) ზაფხულის პერიოდში უნდა იქნეს წაღებული ცხენებით, რადგან ზამთრის პერიოდში თოვლის ზვავების ჩამოწოლის გამო გზები იკეტება. ცხენებით ტვირთვის ზიდვაც სახიფათოა, რადგან 5 — მებარგე ცხენიდან ერთი ყოველთვის ზიანდება კლდის გვერდებზე გავლის დროს (დაცურება და გადავარდნა კლდეში, ტვირთის გადასაბმელების დაწყვეტა და სხვა.)

აი სწორედ ამიტომ გულით მინდოდა მთათუშეთში წასვლა, რომ თვითმფრინავისთვის მოეწყო აეროდრომი რის შემდეგ გაიხსნებოდა საჰაერო გზა თელავ-მთათუშეთი.

უყურებ მთათუშეთის ქარტას და ვშინჯავ მთების სიმაღლეს, რომელი უფრო დაბალია, რომ გაფრენის დროს მიმართულება იქით ავიღოთ· ყველაზე დაბალი აღმოჩნდა კეპანის მთა, რომლის სიმაღლე ქარტაზე ნაჩვენებია — 3500-მეტრო· არის ამაზედ უფრო დაბალი მთა ყადორის გადასწვრივ, მაგრამ იქიდან შორია, თანაც უცნობი რაიონები.

საათმა ხუთი დარეკა. წვიმასაც გადაუღია. მაგრამ ცაზედ ღრუბლები ისეა ჩამოწოლილი ტლანქად, რომ. მთის მწვერვალებიც არა ჩანს. მიუხედავად ასეთი უამინდობისა, მე მაინც წავედი ამხ· მელნიკოვთან· მას ეძინა რადგან უამინდობის შესახებ ადრევე გაეგო. გავაღვიძე გამოვიდა ბალკონზედ შეხედა ცას და ხელის ჩაქნევით მომმართა: — დასავლეთით და აღმოსავლეთით მზის შუქი ჩანს, ჩვენ ღრუბლებს თავზედ მოვექცევით, მაშინ მთაც გამოჩნდება.

სრულ 6-საათზე აეროდრომზე ვართ. თვითმფრინავი მზათაა, მხოლოდ მოტორის ესაჭიროება შემოწმება. მეხანიკი ამოწმებს მატორს, პროპელერის ამუშავებით შინჯავს მფრინავის კაბინაში მოთავსებულ აპარატურას და სიჩქარის მაჩვენებელს. ყველაფერი რიგზეა, თვითმფრინავი სტარტზედ, სდგას· ღრუბლები უფრო და უფრო ჩამოწვა, გ დავწყვიტეთ, რომ მოგვეცადა კიდე ერთი საათი·

სრულ 7 საათსა და 20 - წუთზე მოვწყდით დედამიწას. სიმაღლის ასაღებად საჭიროა 15 — წუთი, ამიტომ ამხ. მელნიკოვი ადგილზედვე იღებს სიმაღლეს, შემდეგ თელავზე აკეთებს ორ წრეს და მიდის პირდაპირ მთათუშეთის მიმართულებით ჩამოწოლილ ღრუბლებს თავზედ მოვექეცით, გზის სხივები გვცემს სახეზედ. დედამიწა არა ჩანს.

თვითმფრინავისათვის ყველაზე საპასუხისმგებლო გზა ყოფილ მთიან ადგილებში ფრენა. ამიტომ იყო, რომ ამხ. მელნიკოვს დიდი ოსტატობით და დაჭიმული სიფრთხილით მიყავდა თვითმფრინავი· ჩვენ გავიარეთ თორღვას აბანო, გადავლეთ კეპანის ახლად ნაშენები გზა და მოვექეცით შუაგულ მთებში· აქედან სივრცეში გახედვა უდიდეს გამბედაობას მატებს ადამიანს. ჩრდილოეთის მხარეს მოსჩანს კლდეებზედ და გორებზედ გაფანტული მთათუშეთის სოფლები სამხრეთით კი ხედავთ მთელ კახეთს თავის ალაზანი



მფრინავი მელნიკოვი და ა. კოკილაშვილი მთა-თუშეთში გაფრენის წინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველით, გომბორის მთის კალთებზე გაშენებულ თელავს და მის გასწვრივ მდებარე ბარაქიან სოფლებს გურჯაანამდეც კი.

ფრენის იმაღლე 4000 — მეტრია, დაბლა ვიხედები, ვარჩევ მთის სოფლებს: აგერ ხიჯო კეპანის გზით პირველი სოფელი, ჟველურთა, ხახაბო, ცოკალთო, ქუმელაურთა. გამოჩნდა დიკო და შენაქოც, ვერ ეხედავ ომალოს, მთათუშეთის ცენტრს და ადგილს, სადაც ჩვენ უნდა ჩამოვფრინდეთ. ომალოდან, ისე მახლობელ სოფლებიდან, დაიძრა დიდი და პატარა ბოსლებისაკენ (ადგილი, სადაც დავფრინდით). 10-წუთიც და ჩვენს წინაშე გაჩნდა მთათუშეთის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. დიმიტრი ჭაბუკიძე მახლობელი სოფლების მცხოვრებლებთან ერთად.

მოსული ხალხი განცვიფრებულია თვითმფრინავით. მათ ჯერ არ უნახავთ არამც თუ „ფოლადის არწივი", არამედ მატარებელი და ავტომობილიც კი, ზოგიერთი მათგანი კი ბარშიაც არა ყოფილა.

— ვაინაში რომ ვიყავი იქ, ვნახე აეროპლანები ბომბების სროლის დროს — ამბობს საშუალო ხნის მხარბეჭიანი თუში — ჩამოვარდა და მისი შოფერი ტყვეთ ჩავიგდეთ ხელში.

შეკრებილ თუშებთან ჩავატარეთ სახელდახელო საუბარი თვითმფრინავის მნიშვნელობაზედ, მის როლზედ სოციალისტური მშენებლობის სამსახურში და კერძოდ კი უგზო და მიუვალ ადგილებთან დაკავშირებაში, გავაცანით — რომ შეიძლება ამ თვითმფრინავით გადმოვიტანოთ კოოპერატივისათვის ფართალი, მარილი, სპიჩკა, და ნავთი — ყველას გაუკვირდა თანაც სიხარულის ღიმილი აღებეჭდათ სახეზედ.

თუ კი აგრე იქნება, მაშინ ჩვენ რად გვინდა თელაველების აეროპლანი, როგორც იმათ შეკრეფის ფული შეიძინეს საკურათ, ჩვენც მოგვცენ ნება, გამოვიღებთ ერთი აეროპლანი ჩვენც, ხოლოთ უნდა დააწეროთ ზედ „წითელი თუშეთი" ბოხი ხმით ლაპარაკობს ერთი თუში.





ჩვენი ქვეყნის საყვარელი ბელადის ამხ. სტალინის ლოზუნგი გადავაქციოთ კოლმეურნეობები ბოლშევიკურად და ...
...ბის წევრი ამხ. შენგელია თავისი პატიოსანი შრომით დაადგა შეძლებული ცხოვრების გზაზე. მას მიეცა უ...
**სურათზე:** დამკვრელი კოლმეურნე ამხ. **შენგელია** — მისი ძველი ქოხი და **ახალი ოდა-სახლი, სადაც ამჟამად ცხ...**

მე დავალებული მქონდა არა მარტო აეროდრომის მოწყობის საკითხის შესწავლა, არამედ იმის გაცნობაც, თუ რა მდგომარეობაშია მთათუშეთის იალაღებზედ მყოფი საქონელი, კერძოდ კი ცხვარი. ამ საკითხზედ კარგა ხანს ვესაუბრე ომალოს მცხოვრებ თუშებს და საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. **ალ. უთმელიძეს და მის მოადგილეს ამხ. დიმ. ჭაბუკაიძეს.**

სას. საბჭოს ადგილობრივი აქტივის დახმარებით მცხოვრებთა შორის ადრევე დაუმუშავებია ამხ. სტალინის მოხსენების ის ნაწილი, რომელიც ეხება სოციალისტური მეცხოველეობის განვითარებას. მოხსენების დამუშავების შემდეგ დათვალიერებული აქვთ 14 ბინა, აქედან სამი კოლმეურნეობის (ზემო ალვნის ქვ. ალვნის და ლაფანყურის). მწყემსები საკოლმეურნეო დოვლათის დაცვას განსაკუთრებული მზრუნველობით ეკიდებიან. ბარიდან მთაში ასვლის პერიოდში არ ყოფილა არც ერთი ცხვრის დაკარგვა, გარდა ზოგიერთის დაკოჭლებისა.

ქვ. ალვნის კოლმეურნეობას ცხვარი უყენია ველკეთილში (დაღესტნის მიდამოებში). მათი ბინა კულტურულადაა მოწყობილი. გამოყოფილი ყავთა სპეციალური პირები, რომლებიც სისტემატიურად ამოწმებენ წველვის ხარისხს. ცხვრის მოვლა დაცვას და მიღებულ პროდუქტებს (მატყლი, ყველი) თავის დროზედ გაგზავნოს ბარისაკენ. მწყემსებ შორის ფართედაა გამოყენებული სოც. შეჯიბრი და დამკვრელობა, რომელსაც სისტემატიურად ამოწმებს ბინის სარქალი.

სას. საბჭო ეხმარება კოლმეურნე-

სია. საბჭოს გადაწყვეტილი აქვს ამ გზების შეკეთება.

ნოათის ხეობის ბინებში, სადაც ცხვარი უყენიათ ალიოსი ვეშაგურიძეს, საბა მაშინურიძეს, გიორგი ქარდლიძეს, ერასტე მ-ბაზორიძეს, გიორგი ოჩანაიძეს და სხვებს, ბინები არა აქვთ კულტურულად მოწყობილი: ცხვრის სადგომი ბაკები უსუფთაოა, რადგან ყოველდღიურად არ არის გაშლილი კულტურული მუშაობა, არც ჟურნალი, არც გაზეთი, ნაში, ორი წუთიც და თავს დავტრიალებთ ომალოს მიდამოებს. თვითმფრინავი აქვეითებს სიმაღლეს შემდეგ კი მივემართებით კეპანის მთის მიმართულებით.

რამდენიც უახლოვდებით მთას, თვითმფრინავი იმდენი უფრო დაბლა ეშვება, სიმაღლეს ველარ იღებს. ვაკვირდები თუ ამხ. მელნიკოვი, როგორი სიზუსტით ზომავს რენის სწორ ორგანიზაციას. საჭირო ხდება რამოდენიმე წრის გაკეთება სი-





ველ-კოლმეურნე შეძლებულად — ბრწყი ნვალედ ხორციელდება ცხოვრებაში. მე-8 ინტერნაციონალის კოლმეურნეო
სად ცხოვრების პირობები ვიდრე წინედ ცხოვრობდა. ნახევრად დანგრეულთ ქოხის მაგიერ მან აიგო ოდა ხახლი.
რობს იგი.

ობის ბინებს ყოველმხრივ, მაგ. მათ არ ქონდათ ყველის საწური პარკები, რომელიც მისცა საბჭომ, ამის გარდა მათთან სისტემატიური კავშირში ყოფნით—გებულობს მათ ავკარგიანობის საკითხს და მოსაგვარებლებს იქვე სწყვეტს.

სას. საბჭოს არ ავიწყდება ერთპიროვნული მეცხვაეოებიც. ის განსაკუთრებულ მზრუნველლობას იჩენს მათ მიმართ. ალაზნის თავში (პირიქით) ცხვარი უყენიათ ინდივიდუალურ მეცხვარეებს: გამოტაიძე ლაზარეს, მოურავიძეებს, ბახტურიძეებს და სხვ. მათი ბინა კულტურულათაა მოწყობილი, მისვლისთანავე თვალში გეცემათ ბინის სიფართოვე, ცხვრის სადგომის სისუფთავე (დაგვილია) და სიდიდე. აქვთ საწველი ბაკების წყლით გარეცხვის ორგანიზაცია, რასაც მოკლებულია ზოგიერთი ბინები მოკლებულია. ერთია, რომ ბინებამდის მისასვლელი გზები უვარგი-

მთელი ზაფხულის პერიოდში მოწყვეტილი არიან ქვეყნის მნიშვნელოვან ამბების გაცნობას. ამ ნაკლის გამოსწორება შეიძლება თუ კი მთათუშეთის ცენტრში—სოფ. ომალოში გაიხსნება ფოსტის საგენტო.

უკვე მეორე დღეა რაც აქ ვართ. ჩვენი თვითმფრინავი გუშინვე გაფრინდა ალაზნისაკენ. წაულო მარილი და სხვა მარაგი იქ მდგომ საბჭოთა მეურნეობის ცხვარს.თვითმფრინავის დაბრუნების დროა დავეშვით აეროდრომისაკენ. თვითმფრინავის ხმა ისმის. აქვე შეკრებულია დიდძალი ხალხი. ჩვენ ვატარებთ საუბარს თვითმფრინავის აგების საკითხზე.

— თუ ეხლა არ გაფრინდით, შეიძლება ამაღამ სულაც დარჩეთ—გვეუბნება ამხ. უთმელიძე.

პროპელერი ამუშავდა, თვითმფრინავი გამზადებულია გასაფრენათ. ვემშვიდობებით ყველას, მაგრამ ვართმევთ ხელს და ვპირდებით, რომ კიდევ მალე ვნახავთ, ჩავჯექით ვადევნებ თვალყურს მელნიკოვს, ის კიდევ ცდის, როგორმე აიღოს სიმაღლე უმაღლესი მწვერვალის გადასალახავად. მატორი მთელი სისწრაფით მუშაობს, ერთი სიმაღლის ასაღები მაგარი ბიძგი და უკვე გადმოვლახეთ კეპანის მთა.

400 მეტროს სიმაღლეზედ კარგად გამოჩნდა რაიონის სოფლები. აგერ ჯულიანი, ნაფარეული, სანიორე და ალაზნის გაღმა მხარე. ცოტა დაბლა დაშვებაც და წამოვიდა კახეთის სითბო, რომელმაც გააქრო მთაში მიღებული სიცივე.

გადმოვიარეთ ნაფარეული, გადავჭერით ალაზანი და უკვე ვხედავთ აეროდრომს სულ რამდენიმე წუთი და გაჩერდა თვითმფრინავი.. საღამოს უკვე თელავში ვიყავით და უამბობდი რაიკომის მდივანს მთათუშეთის მდგომარეობას.

# ქალაქის დაბადება

**დ. გაჩეჩილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუნოვან მოწყენის შემდეგ,
ლუმელები ოქროდ ბზინავენ,
გორც სადგურში ერთმანეთს შეხვდენ:
მიანი, მთა და მდინარე.

მთას ღრუბელი აღარ ებურა,
მოყოლია წვიმა და ნისლი;;
ველ სამშობლო სივრცეებიდან
დაინახავს ვარსკვლავთა ციმციმს.

როს ლუმელში მთა თუჯის ღარით
კერებიდან ჩადის დაფშვნილი,
რცეში სადღაც გაწივლებს ქარი
წამოდგება ქარხნის ჟრჟოლა.

ოდგება და აცახცახდება
არმაზარი ქარხანა ფერო,
ს აგონდება: სიმწვანე, ხე და
ე დიდებულ არწივის ჩერო.

გორც გაშლიდა რიურაყის წამწამს,
ს ჟუხვდებოდა მზის მოაჯირი
ციცაბოზე ღიმილის მსგავსად,
ით ცარდისფერ ღრუბლის ნაჭერი.

ს აგონდება—ზამთარის ხრეში,
თრი ქედები... წყარის წინწკილი,
ნა მთას,—და სადმე ხევში
ილებული ქუხდა წისქვილი.

მდეგ მიწიდან კაცთა ჩრდილებმა
დაიარეს მთა ცისპირამდე,
სიან კლდეში, როგორც ჭრილობა,
რკის ელვარით შესჭრეს გვირაბი.

ა გამოგლიჯეს ნისლებს, მაღლობებს,
ა დიდებული დაფშვნეს, დალეწეს,
მატარებლით შორს გააქროლეს,
ანდაგიდან ლიანდაგებზე.

ტარებელმაც ნისლები გასჭრა,
ნ იყო მთისთვის ცრემლი ეპკურა,
ქარხანამდე რონოდას აჯდა
ვიწყებული ერთი ბელურა.

ინარე.... განა ის შემოსულა
ინარის ფერით და საცნაური,
ვანე ტყეებით ნაპირმოსილი
წყალდიდობის უხეშ ხმაურით.

აქ უეცარ ეროვანტელივით,
ვლის ქარხანას რკინით დაგმანილს,
არის ცეცხლი, კაცის ხელებით
ისფერ ტალღიდან გადათარგმნილი.

აუდგრომელი დიდი მდინარე
ვთულში სხივად გამოტეული,
შემოსულა, რომ უწინარეს,
უმელს ჩაურთოს ცეცხლი გრძნეული.

დამიანი? მას ხო მივარდნილ
ეობას ქონდა ძველად სოფელი.
ელურ გონებას აწვა ბილბანდი
ა ლაჟვარდები დაუპყრობელი.

ურდა გაეჭრა სივრცეთა ბინდი
ვალად ქონოდა ზეცა ანკარა,
აგრამ ლაჟვარდი ცა იყო დიდი
დამიანის თვალი პატარა.

ვისარტყელას ქვეშ, ელვარე თოხით,
ამწუხრებული იდგა ყანაში
ა საუკუნით წელში მოხრილი
აზის და ქოხის გახდა დარაჯი.

მან გულუბრყვილო შექმნა ლეგენდაც,
ნაქსოვი მზით და ცისფერ ნიავით,
სადაც ძმებივით ცხოვრობდენ ერთად:
მთა, მდინარე, და ადამიანი.

ანისლებული მთა იყო მთაში,
შორი მდინარე ლურჯად ღვიოდა,
ფიქრობდა კაცი და ოცნებაში—
მთვარე ცახცახით ამოდიოდა.

მაგრამ ცხოვრება პირველყოფილი
გაცვდა, დაიმსხვრა ძველი ლეგენდა,
წამოდგა კაცი ძირს დამხობილი
და მთას დიდებულს ხელით შებედა.

იმორჩილა და მონად გახადა
დაუპყრობელი ძალა „სტიქია“,
ეს გალანჯული ფერო ქარხნაც
ამბოხებული კაცის ფიქრია...

და წამომშლილან ირგვლივ სოფლები,
ნახონ ვარვარი ქარხნის ღუმელის,
და ინდუსტრიის ცა დაჭორფლილი
ამოხეთქილი კვამლის ღრუბელით.

ნახონ და შემდეგ ჩაბალახ მოხდით.
ქუთუთოებში თვალთა კიაფით,
მათ განიცადონ ქარხნის ამბოხი,
ახალი ქვეყნის სხვა განთიადი.



18 აგვისტო საბჭოთა ავიაციის მიღწევათა და გამარჯვების დღეა. ტფილისში ეს დღე დიდი ზეიმით ჩატარდა. დილიდანვე ქალაქის თავზე მერცხლებივით იწყეს ფრენა თვითმფრინავებმა. აეროპორტზე მშრომელი მოსახლეობის დიდი მასა შეიკრიბა. ნაჩვენები იქნება უმაღლესი პილოტაჟის მიღწევები. პარაშუტისტების გადმოხტომა, ჰაერში დაფრინავდენ აბრეშუმის მშვენიერი მედუზებით ჩვენი უშიშარი პარაშუტისტები

**სურათზე:** შუაში—საფოსტო თვითმფრინავი რომელიც დაფრინავს კავკასიონის ქედზე ტფილის-მინერალურ წყლებს შორის.

**ახალგაზრდა პილოტები:** ლ. სარქისიანი, მ. გოგლიშვილი, ნ. კურდღელაშვილი, გ. კარაპეტიანი.

განიცადონ და მუშის ხალათით
ჩადგენ ლუმელთან გულმოსიმღერე,
რომ ლითონთ სხივით გადაანათონ
წვიმით განბანილ სუფთა იმერეთს.

საუკუნოვან მოწყენის შემდეგ.
სად ღუმელები ოქროდ ბზინავენ,
როგორც სადგურში, ერთმანეთს შეხვდენ:
ადამიანი, მთა და მდინარე...

და როს ლუმელში მთა თუჯის ღარით
ბუნკერებიდან ჩადის დაფშვნილი,
ბნელ ხრახნილებში გაწივლებს ქარი
და წამოდგება ქარხნის აჩრდილი,

მაშინ იფეთქებს უცებ ლუმელი,
ცეცხლის ენები თითქოს ყვავიან,
და ქარხნის ზემოდ ნაცრის ღრუბელში
მზე — აკვამლული ნაკვერცხალია.

ღუმელს თავს ადგას ფოლადის ფიწლით
კაცი და, დასდევს ალთა ნიავი.
ო რა ქარცეცხლში შეხვდენ პირისპირ,
მთა, მდინარე და ადამიანი..:

რა ელვარებით გადმოღვარულა
ღუმელის ფსკერთან მუქი ყვითელი,
ქარხნის კედელზე რეკავს ზარი და
მზეთ დაქცეული მოდის ლითონი.

რეკავს ზარი და მუშა მექურე
თვალ ანთებული საქმით გმირული,
ლითონის დენას ღიმით შეჰყურებს
დამწვარ სახეზე ხელ მიჩრდილული.

ფანჯრებიდან კი ზაფხულია და
ჭადრების ხეებს სიო გადაქრის,
მატარებელი რკინის ლიანდაგს
მოჰქუხს და მოაქვს ჩონჩხი ქალაქის.

მოაქვს აგური, მოაქვს დუღაბი,
ტყემ დაიხიოს ჩოჩქოლით უკან...
ხარაჩოებში ქარხნის ღრუბელთან
ახალ ქალაქის ცოცხლდება რუკა.

დადგენ სახლები და [illegible]
წყარონი ქუჩებს აჩანჩქერებენ,
გახედეთ ბუხრებს, [illegible]
ცაში აზრდილა კვამლის მცენარე.

საუკუნოვან მოწყენის შემდეგ
სად ღუმელები ოქროდ ბზინავენ,
სად ქარხანაში ერთმანეთს შეხვდენ:
ადამიანი, მათ და მდინარე.

იქ ინდუსტრიის მზემ და ნაღარამ
შემოიკრიბა ხალხი მშრომელი,
და ღმუის, ღმუის ფერო ქარხანა
ახალ ქალაქის დედა მშობელი.

# ამხ. კამო

**ლევ მენძელაია**

1922 წლის 14 ივლისს ქ. ტფილისში ვერის დაღმართზე მოხდა საშინელი კატასტროფა: ველოსიპედით მიმავალი ამხ. კამო დაეჯახა ავტომობილს და დაიმსხვრა. ბრმა შემთხვევის მსხვერპლი გახდა რევოლუციის ერთ-ერთი სახელოვანი მებრძოლი — უდიდესი გმირი, ის, ვინც არა ერთხელ იდგა სიკვდილის პირისპირ, ვინც ათეული წლების განმავლობაში ყუმბარითა და დინამიტით ხელში თავზარსა სცემდა მტარვალთ!.

არა ბრძოლის ველზე დაეცა მებრძოლი ბოლშევიკი, „უშიშარი ჩაინდი", რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მუშათა საქმეს შესწირა!

ამხ. კამო ეკუთვნის რევოლუციის გმირების იმ პლეადას, რომელმაც წაუშლელი კვალი დასტოვა საქართველოს და ა.-კ. მუშათა კლასის თავგანწირული ბრძოლის წითელ მატიანეში.

ამხ. კამო ეკუთვნის იმ წრეს, რომელსაც ჰქონდა ბედნიერება ემუშავა ამხ. **სტალინის** უშუალო ხელმძღვანელობით. ამ წრიდან გამოვიდნენ: მიხო ბოჭორიძე, კამო, ცნობილი მუშა პუბლიცისტი ბოლშევიკი გიორგი თელია და სხვები.

ამხ. კამო პარტიაში შევიდა 1901 წელს. ამ მომენტიდან დაწყებული ამხ. კამო ეწევა დაულალავ პარტიულ მუშაობას და იჩენს იშვიათი კონსპირატორის ნიჭს და უშიშარი მებრძოლის თვისებებს.

ამხ. კამო ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას 1903 წლის საპირველ მაისო დემონსტრაციაში, რომელიც ტფილისში გაიმართა. მან საკუთარი ხელით გააკეთა ერთ-ერთი დროშა, რომელიც 1903 წლის პირველი მაისის დემონსტრაციის დროს ტფილისის ქუჩებზე აფრიალდა. ამხ. კამოს გეგმა იყო: გაეშვა ჩიტი, რომელსაც ქედზე ექნებოდა მობმული დიდი ბარათი წარწერით: „გაუმარჯოს პირველ მაისს! ძირს თვითმპყრობელობა". გეგმია განხორციელება, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა.

1905 წლის აჯანყების დროს პარტიამ მოახდინა ზესტაფონის ხაზინის ექსპროპრიაცია — საიდანაც წაღებულ იქნა 200.000 მანეთი. ეს თანხა რევოლუციის საქმეს მოხმარდა. სხვათა შორის ამ თანხით ამხ. კამომ სხვებთან ერთად უცხოეთში შეიძინა დიდძალი იარაღი და გამოგზავნა იგი არალეგალურად გემ „ზორაზე". 1906 წლის დეკემბერში გემმა „ზორამ" რუმინეთის ნაპირებთან განიცადა ავარია. რუმინეთის პოლიციამ ჩაძირული გემიდან ხელში ჩაიგდო 2000 თოფი, 650.000 ვაზნა, უამრავი ასაფეთქებელი მასალა. კომანდამ ბულგარეთში შეაფარა თავი.

შემდეგი დიდი საქმე, რომელშიაც ამხ. კამო თამაშობდა ხელმძღვანელ როლს, იყო 1907 წლის 13 ივნისს (ძვ. სტილით) ერევნის მოედანზე მომხდარი 250.000 მანეთის ექსპროპრიაცია. ეს აქტი მეტად მოხდენილად და იშვიათი მამაცობით იქნა შესრულებული. თქვენ წარმოიდგინეთ ასეთი სურათი: ქალაქის ცენტრში, როცა რეაქცია თავს გამარჯვებულად გრძნობდა, ჯაშუშებით და გოროდოებით გავსებულ ქუჩაში, შუა დღეს ხდება „საშინელი თავხედობა". 2 ეტლს, რომელსაც იცავდა 5 კაზაკი, ორი იასაული და ორი ბანკის მოხელე, თავს ესხმიან, ესვრიან ყუმბარებს და იტაცებენ 250.000 მანეთს! სად გამოყოს თავი ამის შემდეგ ტფილისის ჟანდარმერიამ?!

მთელი ბიუროკრატიული და პოლიციური ტფილისი ფეხზე დადგა,



XII ს. ისტორიული ძეგლი.
ზუგდიდის რაიონში მდებარე უძველესი ციხე „ნიკოხი"

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ამაოდ: ვერ მიაგნო! ამ „ექსის" ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო ამხ. კამო. წაღებული ფულები მოხმარდა რევოლუციის საქმეს, მის შეიარაღებას და აგიტაცია-პროპაგანდას.

1907 წლის მეორე ნახევარში ამხ. კამო დაპატიმრებულ იქნა ქ. ბერლინში, სადაც ის ცხოვრობდა მირსკის პასპორტით. მისი ვინაობა მალე იქნა გამორკვეული. მას ბრალს სდებდენ სხვა და სხვა ტერორისტულ აქტებში, ერევნის მოედანზე მომხდარ ექსპროპრიაციაში და სხვა. ის მიჩნეული იყო საშიშ ანარქისტად. ამხ. კამოს უდიდესი საფრთხე მოელოდა. მისი გაცემა მოითხოვა რუსეთის თვითმპყრობელმა მთავრობამ. აი აქ იწყება ამხ. კამოს უმაგალითო ბრძოლა გერმანიის და რუსეთის თვითმპყრობელ ჯალათების წინააღმდეგ.

ამხ. კამო იგონებს სიგიჟეს, მიმართავს სიმულიაციას და ისე ოსტატურად ატარებს მას, რომ გერმანიის გამოჩენილი პროფესორები იძულებული არიან დაადასტურონ, რომ ამხ. კამო მართლადაც არა ნორმალურია.

რა და რა საშუალებას, რა და რა ხერხს არ მიმართავდა ამხ. კამო, რომ მტრებისათვის ასეთი დასკვნა გამოეგლიჯა ხელიდან: ის შფოთავდა, ტანისამოსს ხევდა, კვირაობით არ წვებოდა, საჭმელს არ ჭამდა, მას ჩხვლეტდენ ქინძისთავებს, ტანს უწვავდინ ლითონის გახურებული ბუნიკით. და სხვა. ამხ. კამოზე არაფერი მოქმედებდა. ი სთავის „სიგიჟეს" განაგრძობდა.

ასეთ ჯოჯოხეთურ პირობებში ამხ. კამო მთელი ორი წელიწადი იჯდა ბერლინის ციხეში.

ბოლოს, 1909 წლის ოქტომბერში გერმანიის მთავრობამ. ის რუსეთის ჟანდარმებს გადასცა.

ამხ. კამოს საქმე უნდა გაერჩია ტფილისის სამხედრო სასამართლოს. ამხ. კამოს უეჭველი სახრჩობელა მოელოდა. მაგრამ ის აქაც თავის „სიგიჟემ" იხსნა. ის საპყრობილეშიც განაგრძობდა სიმულიაციას. როგორც „სულით ავადმყოფი" ის გადაყვანილ იქნა მიხეილის საავადმყოფოს ფსიქიატრიულ განყოფილებაში, საიდანაც პარტიული ორგანიზაციის დახმარებით გაიქცა 1911 წლის 15 აგვისტოს.



ალაზნის საბჭოთა მეურნეობაში (კახეთი)

ალაზნის საბჭოთა მეურნეობაში მოსავლის აღების პერიოდში გაზეთების გამსვლელი რედაქციები („კოლმეურნე" და სხვა) ყოველდღიურად უშვებდენ გაზეთებს.
სურათზე: გაზეთის კითხვის მომენტი დასვენების დროს.

* ❋ *

ამხ. კამო იყო ერთ-ერთი ხელმძღვანელი და სულის ჩამდგმელი იმ მებრძოლი ორგანიზაციის, რომელიც კავკასიის ბოლშევიკური ბიუროს მიერ 1906 წელს იქნა დაარსებული და რომელმაც თავისი გმირული ბრძოლით და აქტებით სახელი გაითქვა მთელს რუსეთში და მის გარეთ.

ამ ბოლშევიკური მებრძოლი ორგანიზაციის ხელმძღვანელები და აქტიური მუშაკები იყვნენ: 1) კამო. 2) ვანო კალანდაძე. 3) ელისო ლომინაძე. 4 სტ. ინწკირველი 5) ბ. კუპრაშვილი. 6) არკადი ელბაქიძე. 7) თომა ჩუბინიძე. 8) გ. მგალობლიშვილი 9) ამბაკო სამანიშვილი. 10) გიგო მათიაშვილი 11) მიხო ბოჭორიძე 12) მარო ბოჭორიძე 13) ფაცია გალდავა. 14 ძმები პეტროსიანები და სხვ.

ამ ორგანიზაციის საქმე იყო ერევნის მოედანზე მომხდარი ექსპროპრიაცია, ციხეებიდან მთელი რიგი გაქცევები და სხვ.

ამხ. კამოს თავდადებული ბრძოლის საუკეთესო დამადასტურებელ საბუთს წარმოადგენს მისი პაწია ანკეტა, რომელიც მან სწორედ დაღუპვის დღეს შეავსო. მოვიყვანოთ რამდენიმე კითხვა და პასუხი ანკეტიდან.

კითხვა: როდის შევიდა პარტიაში.

პასუხი: 1901 წელს.

კითხვა: იყო თუ არა საზღვარ გარეთ და სად.

პასუხი: ვიყავი ევროპის 19 სახელმწიფოში.

კითხვა: **თქვენი სპეციალობა.**

პასუხი: **რევოლიუციონერი**

კითხვა. განიცადა თუ არა პარტიული მუშაობისათვის რეპრესიები, როდის და რა და რა.

პასუხი: **დაპატიმრებულ ვიყავ 6 ჯერ, გამოვიქეცი 3 ჯერ. სიკვდილით დასჯა — მისჯილი მქონდა 4 ჯერ.**

ამხ. კამო მოესწრო ბოლშევიკური პარტიისა და მუშათა კლასის უდიდეს გამარჯვებას: თვითმპყრობელობის და ბურჟუაზიის ბატონობის დამხობას და მუშათა კლასის დიქტატურას.

ამხ. კამო იტყოდა: „მე ასი წელიწადი უნდა ვიცოცხლო!" იცოცხლებდა კიდეც, რომ ბრმა შემთხვევას მისთვის ბოლო არ მოეღო. იგი გარდაიცვალა 1922 წელს ე. ი. „ნეპის" პირველ წლებში ისე, რომ მან ვერ ნახა ის უმაგალითო წარმატებანი, რომლებიც პირველმა ხუთწლედმა მოგვცა. მას არ დასცალდა მიეღო მონაწილეობა სოციალისტური ეკონომიკის საფუძვლის ჩაყრასა და უკლასო საზოგადოების აშენებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქ. მოსკოვში მოსკოვის სახელმწიფო უნივე რსიტეტთან გაიხსნა ინგლისურ-ამერიკული ინსტიტუტი, ინსტიტუტში ხამეცადინოთ თავი მოიყარა უარებელ უცხოელებმა.

**სურათზე:** ლენინგრადიდან მოსკოვ ში ჩამოსული ამერიკელები ოქტომბრის სა დგურზე.

# სასიხარულო გამარჯვება

**ქ. მელაძე**

ჩვენს ქვეყანაში ხელოვნება გადაიქცა მილიონ მასების საკუთრებად. დაინგრა ის ძველი კართაგენი, როცა ლიტერატურას დაპატრონებული იყო საზოგადოების ერთი ფენა და მთელი ხელოვნება მონოპოლიად ქონდათ გადაქცეული. ამ მდგომარეობამ სრულიად ბუნებრივად შესცვალა ხელოვნების დანიშნულება და როლი ლიტერატურის ჟანრებიც კი, რომლებიც წარსულში ვიწრო ამოცანებს ემსახურებოდა დღეს გამოვიდა ამ ჩიხიდან და ემსახურება მილიონ მშრომელთა მიზნებსა და ამოცანებს. შეიცვალა ლირიკის როგორც ლიტერატურული ჟანრის ფუნქციაც. წავიდა ის დრო, როდესაც ლირიკა წარმოადგენდა მხოლოდ მარტო რჩეულთათვის საამო მოსასმენს და ადამიანთა ქვედა ფენისათვის კი მიუწვდომელი იყო. წავიდა ის დრო, როდესაც მწერლები ლირიკის საშუალებით უმღეროდენ ქალის ტერფებს, უმღეროდენ ქალის ტუფლებს და ამ სიმღერას ამთავრებდენ იმავე ქალის სხეულის სხვა რომელიმე ნაწილის აღწერით. დღეს პოეზიის დანიშნულება სულ სხვა გვარია. იგი უნდა უმღეროდეს სოციალიზმის მოზარდ ყლორტებს, იგი უნდა უმღეროდეს იმ ადამიანებს, რომლებიც თავდადებულად და ენერგიულად უვლიან ამ ყლორტებს და საკუთარი ხელებით ქმნიან ჩვენი ეპოქის გრანდიოზულ მონუმენტალურ ძეგლებს. ამ ამოცანის შესრულება უპირველეს ყოვლისა პროლეტარული ლირიკის წინაშე დგას. და მართლადაც როგორი დიდი ბრძოლით, როგორი დიდი წინააღმდეგობის გადალახვით შესძლო ჩვენში პროლეტარულ ლირიკამ უფლებების მოპოება და „წმინდა ლირიკის" ციხე-სიმაგრეების აღება მისი დამსხვრევა? მაგრამ კიდევ დარჩა ადამიანები, რომლებიც ცდილობენ ამტკიცონ რომ თითქოს ლირიკის საგანი სულ სხვა არის ვიდრე სოციალისტური მშენებლობა. ისინი „ამტკიცებენ" რომ სოციალისტური მშენებლობა როგორც თემა არ გამოდგება ლირიკისათვის ამ აზრს საქართველოს საბჭოთა მწერლების უკანასკნელ პლენუმზე ანვითარებდა და იცავდა მწერალი კონსტანტინე ჭიჭინაძე, მისი აზრით ლირიკის თემა უნდა იყოს ლაპარაკი სიყვარულის შესახებ, ბუნების, სიკვდილ - სიცოცხლის, ადამიანობის, კაცთ მოყვარეობის რაინდობის შესახებ და სხვა. მისი აზრით ამის გარეშე არ შეიძლება წარმოვიდგინოთ პოეზია. ჭიჭინაძე გამოდის დაგმობილ წმინდა პოეზიის დაგვიანებულ დამცველად, ჭირისუფლად, რომელიც ჩვენში წარმავალ კლასთან ერთად დაიღუპა და მხოლოდ მისი ნაშთებილაა დარჩენილი. ჭიჭინაძე იმ აზრსაც კი იცავდა სად პოეზია და სად პოლიტიკაო. იქ სადაც პოლიტიკაა ლექსში მოცემული ის ლირიკული ფაქტი არაა. აქედგან ლოღიკური დასკვნა, ჭიჭინაძის აზრით შესაძლებელი ყოფილა ცალკე წარმოვიდგინოთ შინაარსი და ცალკე ფორმა. ამ დებულების დაცვა და დაყენება დღეს მხოლოდ იმის მჩვენებელია თუ მწერლის თავში ჯერ კიდევ როგორაა დაბუდრული ძველი ხავსმოდებული იდეები. დაგვისახელოს ჭიჭინაძემ ერთი რომელიმე კონკრეტული ფაქტი მაინც. ერთი რომელიმე ლექსი მაინც სადაც არ იყოს მასში გარკვეული პოლიტიკური და კლასიური საკითხები? პუშკინი სწორედ იმიტომ არის დიდი, რომ მისი საკუთარი კლასიური იდეები ორგანიულადაა შეხორცებული მისი ლექსების მაღალ ხარისხოვანი მხატვრულ ფორმასთან. თუ გინდ ჩვენს სინამდვილეში აკაკი წერეთელიც იმიტომ არის დიდი რომ მისი „თავო ჩემო" არის არა მარტო ფორმა, არამედ ეს ფორმა შეხორცებულია გარკვეულ იდეებთან, გარკვეულ აზრთან. აქედან უკვე ნათელია ის, ჭკუა მოკლეობა რომელსაც ეს ადამიანები იჩენენ ლირიკის გაგების საკითხში. განა სოციალიზმის პერიოდი უარყოფს სიყვარულს, უარყოფს ბუნებას? განა ადამიანს, რომელიც სოციალიზმის მშენებელია არა აქვს

მას თავის მწუხარება თავის სიხარული? განა ვინმემ უარყო ეს საკითხები პოეზიაში? მაგრამ ცხადია ჩვენ პოეზიის საკითხს არ ვაყენებთ ისე როგორც, წმინდა ლირიკაში! სვამდენ და იცავდენ. ჩვენ პირდაპირ ვამბობთ, ჩვენ გვინდა ლირიკა ხალისის, ლირიკა ენტუზიაზმის, ლირიკა პათოსის, რომელსაც ადამიანთა შეგნებაში შეაქვს დაჯერება ბრძოლისა და გამარჯვების, რომელიც ადამიანს დაუსახავს პერსპექტივას და გააბედებს უფრო შორს ვიდრე ის იხედება. და როცა ჩვენ ამ თვალსაზრისით მიუდგებით ჩვენი თანამედროვე საბჭოთა პოეზიას ჩვენ დავინახავთ, რომ ძალიან ცოტანი არიან პოეტები რომლებიც სწერენ მთელი გრძნობით და ამავე გრძნობითვე განიცდიდენ მოვლენებს. ნაწილობრივ ჩვენ პოეზიაში კიდევ მეფობს შტამპი და სხემატიზმი. ზერელობა და ემპირიზმი, ფაქტების გარეგნული აღწერა. მაგრამ ამ ბოლო დროს უკვე დაიწყო ამ რუტინის დარღვევა. უკვე დაიწყო ბრძოლა ახალი პოეზიის შესაქმნელად და მთელ რიგმა ჩვენმა მწერლებმა ამ მხრივ უსათუოდ სასიხარულო გამარჯვებებს მიაღწიეს. აქ ჩვენ არ გამოუდგებით მთლიანად ამ სასიხარულო გამარჯვებების მაუწყებელი მწერლების განხილვას, არამედ ჩვენ შევეცდებით გავარჩიოთ ამ გამარჯვებათა ერთი რგოლის—პოეტი **გიორგი კაჭახიძის ლირიკა, განა სასიხარულო გამარჯვება არ არის როცა ხელში აიღებ და** კითხულობ გ. კაჭახიძის ლექსების წიგნს „ის უბანი და ის კარმიდამო"? განა ეს წიგნი პოეზიის ფრონტზე სერიოზული წინსვლა და გამარჯვება არაა. რას იტყვის კონ. ჭიჭინაძე თუ წაუკითხავს მას ეს წიგნი, როდესაც ყველა ლექსები სოციალისტური მშენებლობის თემატიკაზეა აშენებული და ამავე დროს უაღრესად მხატვრული და ლირიული დოკუმენტებია? რაშია საქმე, რომ პოეტმა გიორგი კაჭახიძემ სოციალისტური მშენებლობის იდეას მისცა უაღრესად ხარისხოვანი მხატვრული ფორმა და მისი პოლიტიკური აზრის გაგება ნათელი გახადა ყველა დაბალ კვალიფიციურ მკითხველისათვისაც კი?. საქმე იმაში კი არ არის როგორც კონ. ჭიჭინაძე ფიქრობ, რომ თუ სოციალისტური მშენებლობას ავიღებთ ის ლირიკის თემად არ გამოგვადგებაო არამედ საქმე იმაშია ვინ როგორ განიცდის სოციალისტური მშენებლობას. გ. კაჭახიძემ გაიმარჯვა იმიტომ რომ მან მოგვცა მაღალ ხარისხოვანი მხატვრული ლექსები, იმიტომ რომ იგი ორგანიულადაა დაკავშირებული თავის კლასთან, ორგანიულად განიცდის სოციალისტურ მშენებლობას და ამ მშენებლობის შესახებ სწერს სიმართლეს. საქმე სინამდვილისადმი პირდაპირ შეხედვაშია, ცხადია არაგულწრფელ მწერალს, რომელიც ირიბულად უცქერს თემას ნაწარმოები ყოველთვის ყალბი გამოუვა, მაგრამ მწერალი, რომელიც ამ თემის შუაგულშია და პირდაპირ ხედავს მას იგი უსათუოდ გაიმარჯვებს. ასე ისმის საერთოდ დღეს საკითხი ლირიკის შესახებ. მაგალითისათვის ავიღოთ ჩვენ ისეთი ლექსი, როგორიცაა გიორგი კაჭახიძის „ჭალარა მწყემსი და თეთრი ლაფშა". ალბათ ჭიჭინაძე ჩიაცინებს და იტყვის ეს რა პოეზიის თემააო, მაგრამ გ. კაჭახიძემ უაღრესი მხატვრულობით შესძლო იმ აზრის ნათლად გადმოცემა მკითხველისათვის რომელსაც პარტია აყენებს მეცხენეობის განვითარების საკითხში. აი პოეტი გ. კაჭახიძე წავიდა ზუგდიდში და მან იქ ნახა ცხენთსაშენი იგი სწერს:

ზღვის ცხელ რიყეზე ცხენების ჯოგში
ულაყ კვიცივით თამაშობს ლაფშა;
ხვიხვინებს, ხტის და დრო და დრო შვენის
ქალის თმებივით ფაფარის გაშლა.

ამის შემდეგ პოეტი აღწერს იმ როლს რომელიც ცხენს ენიჭება სოფლად სოციალისტური მშენებლობის საქმეში. პოეტი განაგრძობს:

მაკე ფაშატნიც მშობლიურ შიშით
უფრთხილდებიან წამოზრდილ მოქცლებს.
შავი ულაყი – განთქმული ჯიშის,
მზრუნველი თვალით ფაშატებს უცქერს.
უცქერს და ქვებზეა ელვებს ნალებს...
გრძნობ: ცხელ რიყეზე სიცოცხლეს ფერადს;
მეგრულ სოფლებში შეირბენს მალე
ორულერგეტის ცხენების ფერმა
და კოლექტივებს ძალღონე შესწევს,
არ დააფიქრებს მიჯ. და ჩიხი,
გაშლილ თავლიდან გავა და ველზე
ფორდზონის გვერდით დაიწყებს ჭიხვინს".

აზრი ნათელი დაგასაგებია, უაღრესად პოლიტიკური ლექსია და უაღრესად ლირიული. საერთოდ უნდა აღინიშნოს რომ გიორგი კაჭახიძის პოეზიამ მ ბოლო დროს ძალიან დიდ და სერიოზულ გამარჯვებებს მიაღწია. მისი უდიდესი როგორც მწერლის დამსახურება მასში მდგომარეობს რომ იგი არ იკეტება ვიწრო თემატიურ არეში. მართალია კაჭახიძე სწერს ლექსებს სოფელზე, მაგრამ არა ძველ, არა დახავსებულ, არა იდილიურ, არამედ სოციალისტურ სოფელზე, მისი სიმღერა სოფელზე არის ჯანსაღი, სიმღერა ოპტიმისტური, სიმღერა გამარჯვებათა მაუწყებელი. იგი სწერს.

„უმღეროთ სოფლებს
კოლექტივის მშენებელ ჰიმნით,
მიეცით ქალაქს
სანოვაგის დენი ტალღებად.
ელმაშუქივით
მომღიმარი შეგხედავთ იგიც
და ინდუსტრიის
ძალგამთბარი ხელით დაგვხვდებად.
წინა ფრთაზე ხართ,
ჩემმა ლექსმაც იმღეროს თქვენზე.
იცით უთუოდ
რას აკეთებთ,
ტრაბახს არ ჩემობთ.
წინა ფრთაზე ხართ,
მეც ამნაირ ღირსებას ვეძებ,
ახალ თაობას,
რომ ახალი ხალხი ვაჩვენო".

აქ კაჭახიძე უმღერს სოფელს არა სოფლურად, არამედ თანამედროვე ქალაქური გაგებით და სოფლელ კოლმეურნეში ნერგავს უდიდეს სიხარულისა და ენტუზიაზმის აზრს. განა სიხარულისა და ენტუზიაზმის მაჩვენებელი არაა, როცა იგი სწერს.

„მოვიდეს პური
ისეთი რომ საზღვრებსაც [illegible]
და რომ იქ მხეცსაც
აგრძნობინოს სიდიდე თქვენი".

საერთოდ გიორგი კაჭახიძის უდიდესი ღირსება, როგორც პოეტის მასში მდგომარეობს რომ მის ლექსებში მოსჩანს სიხარული, ენტუზიაზმი და პათოსი. განა უდიდესი პათოსი არაა, განა უდიდესი ორგანიული განცდაა არაა მოვლენი.ას განა ორგანიულად არაა შეხორცებული თავის კლასთან, როცა ხმა მაღლა მიმართავს კოლმეურნე გლეხებს.

„თქვენს ავის მდომელს
დრომ სიკვდილის გზა არ აშოროს,
გახდეს სოფლიდან გადასაგდები.
თქვენი ღვიძლი ვარ
დაკოჟრებულ ხორცის და მიწის.
თქვენი სისხლი ვარ,—
მინდვრისა და ქარხნის მოტივი.
ჩემი ცხოვრება
ამ უმთავრეს ფერებში იწვის,
მინდორს და ფოლადს
ცზრდი ლექსებში ნამყენ ყლორტივით.
შიყვარხართ ყველა
ან სხვა გვარად როგორ ვიცხოვრო".

მართლადაც გ. კაჭახიძის პოეზიაში ამღერებულია სოფელი და ქალაქი. მის ლექსებში მინდვრის და ქარხნის მოტივია და ძალზე ცდება ის ამხანაგები, როცა ფიქრობენ თითქოს გ. კაჭახიძე სოფლის პოეტია ამ ამხანაგებს მხედველობაში აქვთ არა ამხ. კაჭახიძის ლექსების აზრი და იდეა არა სოფლის თემატიკის გაგება, არამედ მხოლოდ მისი ლექსების სათაურები. მართალია კაჭახიძე უმღერს სოფელს მაგრამ სოფელს განახლებულს, სოფელს ახალს რომელიც კარგა ხანია რაც სოციალიზმის ლიანდაგზეა გადასული. იგი ამ ახალ სოფელში ტრიალებს, იგი ამ ახალი სოფლის ჰაერით სუნთქავს. მისით საზრდოობს. იგი ხალისობს იმით რომ მისი სოფელი წინ წავიდა, გაცდა კერძო მესაკუთრეობის საზღვრებს, აყარა გორები და ჩაება სოციალისტური მშენებლობის ფერხულში. იგი ხარობს იმით, რომ მისი სოფელი სადაც მან თავის ბავშობა გაუტარე-



ბავშვთა სპარტაკიადის მონაწილე მოწაფე ქალები—ფიზკულტურელები ამხ. ილოვა და ლომინაძე, რომლებმაც დაიჭირეს 1-ლი და მე-2 ადგილი სირბილში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბია დღეს ის არ არის რაც იყო უწინ. იგი განახლდა და კაჭახიძეც ამ განახლებულ სოფელზეა შეყვარებული.

იგიც ამ სიყვარულს უმღერს თავის ლექსებში, უმღერს დაჯერებით, უმღერს გულწრფელად. განა გულწრფელი სიმღერა არაა როცა იგი თავის თავს მიმართავს „გულო იცოცხლე.
სინამდვილეს შეხედე ნათლად
სიტყვავ იხარე
სიძნელენი გასჭერ ზუილით
ნეტავი ყრმობავ
გასაუბრო კაცივით მართლა
რომ შენც გამღერო
ეს ცხოვრება და ეს სურვილი,
ან და ჩემო სიცოცხლევ ჩვენი დღე ხომ შუქით სავსეა".

ეს არის ჯანსაღი ოპტიმიზმი, ჯანსაღი განცდა მოვლენებისა. ჩვენ ზემოდ ვსწერდით რომ კაჭიხიძე იმიტომ იმარჯვებს პოეზიაში რომ იგი პირდაპირ უცქერს მოვლენებსო, ამ მოვლენების ცენტრშია, ორგანიულად განიცდის მას და გაცნობილია მის ყოველ დეტალებს. იგი სწერს ლექსს კოლმეურნეებზე, და მათი შრომის შესახებ. არა როგორც გასტროლიორი, არამედ როგორც ამ შრომის პროცესის მონაწილე. ამ მონაწილეობას იგი ასე გამოხატავს თავის ლექსში. „წრეულს აქ ბიჭებს,
რომ მოსულა მაისის წვიმა,
დაუთესიათ სოია და თეთრი სიმინდი.
ბიჭები ქუხან,
აუღიათ ტემპი თავითვე.
—სალამი, ვამბობ.
—მეგობრობას აზრი და მკლავი
მოდით, და ძმურად
რომელიმემ თოხიც დამითმეთ,
და ვცადოთ როგორ
გავიტანოთ სიმინდის კვალი.
მეც მითოხნია...
ბრგე ბიჭები იწყებენ ნადორს,
მივდივართ წინ, და
ტკაცუნობენ გმირთა მაჯანი.
დღე არის კარგი.
ორთქლმავალი ეძახის სადგურს,
მზე უვლის სამხრეთს,
და იწვინ მთები აჭარის".

როგორც ვამბობდით იგი მოვლენის ცენტრში ტრიალებს, იგი კოლმეურნობებს ზევიდან არ უქცერს იგი ექსკურსანტის თვალით არ ზომავს, არამედ იგი მათი ოჯახის სული დაგულია, მათი ოჯახის რიგითი წევრია.

გიორგი კაჭახიძემ, როგორც პოეტმა შესძლო თავის ლექსებში დაემუშავებია ორი მეტად საინტერესო საკითხი. ერთი ეს გახლავთ გლეხის შეგნებაში კერძო მესაკუთრეობის ინსტიქტის თანდათანობის შესუსტებისა და გაქრობის პროცესები და მეორე მხრივ გუშინდელი ღარიბის, დღევანდელი კოლმეურნის შეძლებულად გადაქცევა.

პირველი საკითხი თითქმის ყველა ლექსებშია წამოჭრილი. აი მაგალითად: პოეტის დედა ისევ თავის კარმიდამოში ცხოვრობს იგი ძველი ქალია დაძ ველი ინსტიქტები ამოძრავებს მას. მასში ღრმადა აქვს ფესვები გადგმული სიყვარულს თავის საკუთარ მიწისადმი, სიყვარულს თავის ძროხისადმი და დრო და დრო კულაკური პროვოკაციის ანკესზედაც ეგება.

პოეტი გვამცნობს რომ „სოფლად რომ მთლიან
კოლექტივში დარაზმეს ხალხი,
დედისთვის უთქვამთ:
—ხომ მთავრობას მიეცი ნოღა
ახლა ზახლკარსაც მოგთხოვენ და...
დედასაც ამ მხრივ
გაუყიდია
ერთად ერთი ნაცარა ძროხა.
რომ ვეტყვი რამეს,
უმიზეზოდ მიმართავს ხველას,
არა და ჭორის ჭაობიდან ველარ გავიდა.
შენ ისევ, ჩემო სიჭაბუკევ,



1934 წ. პირველი ტრანსატლანტიური გადაფრენა ამ გადაფრენის მონაწილე მფრინავები იძულებულ დაშვების შემდეგ.

* ❊ *

ვარწმუნოთ ყველა:
მივდივართ წინ და
არ დავიწყებთ ნაბიჯს თავიდან".

აქ მწერლის მიერ მოცემულია კერძო მესაკუთრე გლეხის შიში თავის „საკუთრების" და მიწის დაკარგვის გამო. მაგრამ გადის დრო, გადის ჟამი, კოლმეურნეობა განმტკიცდა, არ გამართლდა ის ხმები რასაც კლასიური მტრები ავრცელებენ სოფლად. ამ გლეხი ქალშიც ხდება ერთგვარი გარდატეხა, რადგან სინამდვილემ სულ სხვა უჩვენა. და პოეტს ეს მომენტი უსათუოდ კარგადა აქვს გაკეთებული ლექსში „მგზავრობა ორის" სადაც სწერს:
„ვტოვებ სადგურებს. ჩქარია წინსვლა...
ახლა ჩაუვლით მდინარის ჯებირს
მარცხვნივ გახედავ სივრცეს, და ძლივ ლა
შორს გამოჩნდება სოფელი ჩემი.
იქ ცხოვრობს დედა, ოჯახის ბოძი.
ყოველ საქმესთან მიმსვლელი რიხით.
წელს შეაწერეს საკმაოდ ხორცი.
დამზადებაა, და იგიც იხდის.
და წინანდურად არ ყიდის ძროხას,
არც უსინდისოდ ეპყრობა ქათმებს,
იცის სიძნელეს არ შველის ოხვრა,
არამედ - ჯანი, გული და საქმე.
შვილივით უვლის პატარა ·მოზვერს,
უნდა როგორმე გახადოს ხარი;
მისცეს ტრაქტორებს თამამი მოძმე
და გაუმაგროს კოლექტივს მხარი".

მეორე საკითხი, რომელიც ჩვენ ზემოდ აღვნიშნეთ გუშინდელი ღარიბის, დღევანდელის კოლმეურნის შეძლებულად გადაქცევის პროცესები მეტად საინტერესოდ აქვს აწერილი ლექსში „ცაგარელის ოჯახი": მამაპაპიდან ცაგარელმა მიიღო მემკვიდრეობით სიღატაკე და სიღარიბე. მიიღო პატარა ეზოკარმიდამო, რომლის შემო-

საჭმლი ვერ აკმაყოფილებდა მის ოჯახს.
იგი ყოველთვის ცხოვრობდა ღარიბად, მაგრამ შედის კოლმეურნეობაში და თავდადებული შრომით ენერგიით იგი შეძლებულობის გზაზე დაადგა ცაგარელს კოლმეურნეობამ მეტად სერიოზული და საპასუხისმგებლო საქმე დაავალა. მას დაავალეს სკების მოვლა.
იყო ზამთარი.

დრო წყლებს ყინავდა.
და გაზაფხულზე, ცა რომ გვახარებს,
თქვა კოლექტივმა სკების ყოლადა
მოვლა პირდაპირ ანდო ცაგარელს.
ამ კაცს ხმა ქონდა. ენდო თავის თავს
სკები მიიღო, დასდო ამაგი,
გეგმა დასწერა და იმ დროიდან
შექმნა არტელში თაფლის მარაგი.
აი გმირობაც:
აზრთა კრებიდან
ეზო გვიტაცებს მთელი გონებით:
ვაშლის ხეების ჩრდილ ქვეშ სკები დგას
ვით იმერული სოფლის ოდები".

მეტად მხატვრულად აქვს კაჭახიძეს სკების მოვლის პროცესი აღწერილი. მეტაფორები ნათლად გამოხატავენ იმ ძირითად აზრს და მეტყველებენ აშკარად და გარკვევით იმის შესახებ რის თქმაც მას უნდა

იგი ცაგარელის შესახებ ამბობს:
ძველმა გასტანჯა. იყო ტიალი
რაღაც ტლანქი, და ტყავიც გახადა
და ტყავ გამძვრალი კაცი ჭკვიანი
ვერ წამოსწია ვერც ტყის ქარხანამ.
მიტომ არის, რომ მიჯნას არ იცავს,
გმო სიღარიბე, ძონძის ხალათი:
ვის შერჩენია ეს დედამიწა
იგი რომ იყოს ქვეყნად მარადი."

მაგრამ გავიდა დრო ჟამი ცაგარელი კოლმეურნეობის წევრია ის ცაგარელი, რომლის".

იყო ოჯახი ღარიბი მუდამ,
უნუგეშო და ჩამჯდარი ვალში,
არსებობისთვის მართავდა გუთანს
ან და ბაზარზე გაქონდა ვაშლი.

ეხლა კი „ზის ცაგარელი მაღალი ფიქრით".
უყურებს პერს და მომავალს ზომავს.
შემდეგ ეზოდან ფანჯრების იქით
ხვდება თვალებში ხეები ზორბა
თან აჩერდება ჭალარა მკვეთრად

შვილის მოტანილ ხუთწლედის რუქას.

ამ ლექსების გარდა ამ წიგნში მოთავსებულია მთელი რიგი სხვა საყურადღებო ლექსები, როგორიცაა „ცაცხვების ხეივანში" „ჩემი პირველი უჯრედი" ის უბანი და ის კარმიდამო",
ომი, კატორღა და ოქტომბერი" და სხვა. მაგრამ თავისი ლირიულობით უსათუოდ არა მარტოდ მის შემოქმედებაში, არამედ ქართულ საბჭოთა პოეზიის უკანასკნელ ნიმუშებში გამოირჩევა ლექსი „ქალა" თემა სრულიად უბრალო და მარტივია. ლექსი ძროხის შესახებაა დაწერილი, შინაარსი ასეთია: მაკე ძროხას ეტკინება მუცელი, რომელთანაც ბოსელში არის კრავი. ძროხა წრიალებს მუცლის ტკივილის გამო კრავი კვირობს ამ ამბებს და ბოლოს ძროხა დაბადებს მკვდარ ხბოს. მეორე მხრივ აქ მოცემულია ძროხის მეპატრონე ციბაძის ქვრივის და მისი ბავშვების სულიერი განწყობილება, რომლებიც დიდი ხანი ელოდენ ხბოს დაბადებას და ბოლოს კაჭახიძე აგვიწერს იმ სურათს თუ როგორ დამგლოვიარდა ოჯახი ხბოს მკვრად დაბადების გამო და სხვა. მაგრამ ყოველივე ეს ისე კარგადაა მოცემული, რომ მართლაც ბუნებრივად განიცდი იმ ტანჯვას რომელსაც პატარა ბავშვები განიცდიდენ მაშინ. მშვენივრადაა მოცემული შროხისა და კრავის სურათი ბოსელში.

„დილით ეტკინა მუცელი ქალას,
დაღონება და წრიალი იწყო.
გარედ გახედვის არ ქონდა ძალა,
ვერც შეიგუა ბოსელი ვიწრო.
ძროხის მოქცევას კვირობდა კრავი.
მოსიარულე ლენჩივით იქვე.
შუბლის ძგერებით მიხურა კარი
და უნაიროდ მიეცა ფიქრებს".
ან და შემდეგი სურათი
ქალარა კი სწუხდა. ტკივილი კლავდა
მიმოაბრუნა ბაგაზე ტანი.
ბოლოს იბღავლა ერთი და კართან
დაბადა ხბო, და ხბო იყო მკვდარი.
დაღონდა ქვრივი, სიფითრემ დაჰკრა
მწვავე განცდები მიეცათ ბავშვებს.
ძროხის შემთხვევა უდრიდა დაკვლას,
წუხილი ზარს, და ზეზეურ გაშრენ.
და პატარები ფიქრობდენ დიდხანს,
აბრიალებდენ ბოსელში თვალებს.

—ხბომ სიცოცხლეზე უარი გვითხრა,—
თქვეს და ერთმანეთს შეხედეს მდარედ.
კიდევ თქვეს: მოვა აპრილი რიგით,
მზე გაიკეთებს ხეებში ორძელს.
ხბო არ იქნება და მიტომ იგი
ვერც გაიქცევა კუნტრუშით მოლზე
რა დაემართა, ხომ არაფერი [illegible]
კონოდა ოხერს სიცოცხლე ურჩი...
ვერ ვნახავთ მას გატენილ ცურთან
კუდ აშვერილს და გაქაფულ ჩუტით.—

როგორი კარგადაა მოცემული ბავშვების ფსიხოლოგია, როცა მთელი გულის წუხილით ამბობენ „ხომ არაგ ვძულდით". ეს ლექსი ქართულ საბჭოთა პოეზიაში უსათუოდ ერთ ერთ მოწინავე ადგილს დაიჭერს გ. კაჭახიძემ აღნიშნული ლექსით გამოამჟღავნა რომ მას აქვს დიდი ერუდიცია და შესაძლებლობა იმისა რომ მოგვცეს მაღალ ხარისხოვანი მხატვრული დოკუმენტები. გიორგი კაჭახიძე ქართულ პოეზიაში თავის საკუთარი გზით მოდის ეს მდგომარეობა სრულიადაც არ ნიშნავს იმას რომ ამ გზაზე მას არ ქონდეს რაიმე შეფერხებები, მას არ ქონდეს რაიმე ჩავარდნები. ზოგ შემთხვევაში მის ლექსებში ძველი იდილია წამოყოფს ხოლმე თავს მაგრამ ეს ტენდენცია არაა წამყვანი მისი პოეზიისა. არის მხოლოდ შემთხვევები, როდესაც ზედმეტი ლირიულობა ჩრდილს აყენებს ლექსის იდეურ მხარეს. ჩვენ ამით იმის თქმა არ გვინდა. რომ თითქოს გიორგი კაჭახიძის ლექსებში მოჩანდეს არა ჯანსაღი განწყობილებები, არავითარ შემთხვევაში. ჩვენ ვიმეორებთ, გ. კაჭახიძე უსათუოდ ჯანსაღი ოპტიმიზმის, პათოსის და გამარჯვებათა მაუწყებელი მწერალია. მისი პოეზია და მისი მხატვრული ფაქტები ქართულ საბჭოთა პოეზიის აქტივში შედის გ. კაჭახიძე პროლეტარულ პოეზიის ერთ ერთი მოწინავე წარმომადგენელია. მისი ლირიკა მოზარდ სოციალიზმის ყლორტებზე სიმღერაა, მისი ლექსებიდან მოისმის გამარჯვებული კლასის პოეტის სიმფონია. ამიტომ არის რომ ჩვენ მის პოეზიას უწოდებთ სასიარულო გამარჯვებას და ეს მეტად საპატიო სახელია და გიორგი კაჭახიძემ ამ სახელის გამტკიცებისათვის მომავალში უფრო მეტი უნდა გააკეთოს. ვიდრე დღემდე არც მას გაუკეთებია.

# ყ ო რ ა ნ ი

**თ. რაზიკაშვილი**

ჩვენ ექვსნი მივდიოდით, ოთხი გამოცდილი, თავზედ ჭირ გადავლილნი, გამოჯეკილნი, ორიც ახლად შემოერთებული, გამოუცდელნი. ომ გადაუხდელნი. ჩვენი ყველამ იცოდა, რა ბანაკიდანაც ვიყავით, სადაც გაგვგზავნიდნენ ჩვენი მოწინაამდეგენი, თუ ხელში ჩავუარდებოდით. ხოლო ის ორნი ჯერ უცნობნი იყვნენ. იმათი გარეგანი შეხედულება გაფიქრებინებდა, რომ ესენი უფრო იმათ ეკუთვნოდენ და არა ჩვენ.

მივდიოდით ჩუმად, ხმა ამოუღებლად. სიჩუმის მიზეზი ყველას კარგად გვქონდა შეგნებული და ამიტომ არ ვკიცინებდით ერთმანეთის სიჩუმეს. ყველას კი ერთი დარდი, ერთი ფიქრი გვქონდა.

გამოურკვეველი და მღელვარე დრო იყო, ყველა დიდ ამბებს ელოდა შიშით და სიხარულით.

ბევრს შეხვდებოდი ფანატიკოსს, წინანდელ წინასწარმეტყველებსავით მორწმუნეს, ამათ ოცნებას ეს მღელვარე დრო უკვე განედლო და ახლა ნაყოფს იმკიდენ და ხალხთაშორის ასამაგისებდენ.

ბევრი ფიცხი და დაუდგრომელი დაუდეგრად დასეირნობდა და თავის ფიცხელ აზრებს საქვეყნოდ უზიარებდა მობაასეს. ის ყველაფრით უკმაყოფილო იყო. ყველას კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა.

იყვნენ მეტის მეტი ფრთხილნიც შიში ინსტიქტიურად ჩაჰყვიროდა მათ ყურში სიფრთხილეს. ამათ იმდენი ძალა და ენერგია არ შესწევდათ, რომ აშკარად ებრძოლათ.

იყვნენ კიდევ მრავალნი, რომელთაც ჩვენიც ეშინოდათ და იმათიც. ესენი მზად იყვნენ ორივეს რჯულზედ დაეფიცნათ, ოღონდ როგორმე სიცოცხლე შეენარჩუნებინათ.

მივდიოდით, თუმცა ცუდა არ იყოს, გულში შიში გვეპარებოდა.

— იცი, მითხრა ჩემმა ამხანაგმა, მოდი გზა გამოვიცვალოთ, ეს გზა საშიშრად მეჩვენება, ხომატყობ ჰაერი როგორ მძიმდება, სული მეხუთება, გულზე ლოდივით რაღაც მაწვება. სახლები და ხალხი მდუმარებენ. რაღაც მიზეზია, სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

სიცოცხლის ინსტიქტი კაცში დიდია. კაცის მიზანი წუთისოფელში სიცოცხლეა. და კაციც იბრძვის ამ სიცოცხლის შესარჩენად, იბრძვის, რომ სიცოცხლე სასიამოვნო და მომხიდველი იყოს.

უცებ მხრების ტლაშუნი მომესმა, შევკრთი, გულმა კანკალი დაიწყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ამერიკაში ამხ. **ტროიანოვსკი** თავისი ცოლით ესალმება სტუმრებს პირველი ოფიციალური მიღების დროს საელჩოში.

* ❉ *

შეშინებულმა აქეთ-იქით დავიწყე ცქერა.

— რაიყო? რა მოხდა? მეკითხებოდენ შემკრთალი ამხანაგები.

მივდიოდით და კისერში ცხელ სულისქცევას ვგრძნობდი. ტანი მეჭინჭრებოდა. ვგრძნობდი, რომ ვიღაც მოგვდევდა კვალში ჩამდგარი, მაგრამ აქეთ არავინ იყო და იქით.

უცებ თვალი დამრჩა,—ჩვენს თავზედ ყრანტალით შავი ყორანი მოფრინავდა.

— ყრრ! ყრრ! ყრრ! ბღუოდა საზარლად ყორანი.

— ყრრ! ყრრ! ჩხაოდა შავბნელი.

— მშიან, მშიან! ყრანტალებდა წყეული.

— ჩემს ახალ ამხანაგებს თავზედ ბალანი აეშალათ. შევატყე შეშინდნენ. თვალს ველარ აშორებდნენ შავ ყორანს.

— რას ამბობს? რა შიან? ჩვენ რა, რომ მაგას შიოდეს?

საწყლები ჯერ ახალგაზრდები იყვნენ. გაეგონათ, რომ ყორანი ლეშსა სჭამსო, მაგრამ თუ ცოცხალი კაცის ხორცსაც შესჭამდა, ის კი არ ეგონათ.

რა იცოდენ, რომ ჩვენ კი ბევრჯერ გვეცადა მისი ნისკარტის გემო. ბევრი გემრიელი ლუკმა ამოუგლეჯია ჩვენი სხეულიდან. ბევრი ჩვენი ამხანაგი გამოხრა ცოცხლად წყეულმა!

— წავიდეთ, მოვერიდოთ! იჟინებდნენ გამოუცდელები.

რა იცოდნენ საწყლებმა, როგორი ყველგანმყოფი იყო ყორანი. რა იცოდენ, როგორ შორიდანვე იგებდა ყორანი თავის მსხვერპლის სუნს.

— მშიან! მშიან! ჩხაოდა ყორანი. ახლა უკვე ჩვენ გველაპარაკებოდა.

— მე მშიან და უნდა გავძღე, იძახდა ყორანი. ვიცი, თქვენ ახალი მცნების მოციქულები ხართ. გსურთ ყველა კმაყოფილი ბედნიერი და ამასთანავე მაძღარიც იყოს. მე მშიან, ჩემი საზრდო კაცისლეშია მოვკვდები უმისოდ. მაშ სიმშილით ხომ არ მოვკვდიბი. ხომ მეც მაძღარი უნდა ვიყო. მაშ მეც მართალი ვარ, როცა კაცის ლეშს ვკითხულობ. აგერ მეორე ჩემი ამხანაგი კი სრულიად სხვაა. იმას კაცის სისხლი სწყურიან. უყვარს სულთმობრძავის ცქერა. ტკბება ცხოველთა ტანჯვით. მოსისხლეა და დაუნდობელი.

მე რა ვარ?—ცარიელი მშიერი გუდა, რომელიც უეჭველად უნდა აივსოს ლეშით და ეს ლეში ასი წლის მოხუცებულისა იქნება, თუ თქვენხელა ჭაბუკისა, ჩემთვის სულერთია.

ის კი! ოჰ, რა საზარელია! მე თვითონ მეზიზღება და მზარავს, როცა ის კაცის სისხლსა ხვრეპს!

დაიჯერეთ, ყმაწვილებო, მე თქვენთვის ცუდი არ მინდა. დასხედით, სთქვით რამე.

ყრრ! ყრრ! მერწმუნეთ, ნუ ჩქარობთ. აბა გაიგონეთ რას გეტყვით.

ყრრ! ყრრ! დიდია ჩემი გამომგზავნელი, დიდი წყალობაც შეუძლია.

იცოდეთ, არ წააგებთ, თუ გამიამხანაგდებით. სხვა რა საქმე გექნებათ. ოღონდ კაციჭამიაობა ისწავლეთ, ეს არის ჩვენი დანიშნულება და ხელობა.

ყრრ! ყრრ! ყველა ხომ ერთნაირი არ არის ქვეყანაზედ. ყველა ხომ უკმაყოფილო არ არის, ყველა ხომ თქვენსავით არა შფოთავს და ღელავს.

ჩვენ გზას განვაგრძობდით. ყორანი აჩრდილივით უკანა გვდევდა.

...ვდგებოდით, ისიც სახლის სახურავზედ ჯდებოდა. ვითომ ჩვენ სრულებით აღარ გვიცქეროდა.

ყრრ! ყრრ! განაგრძობდა ბღავილით ყორანი.

ბევრია კმაყოფილი ნაგავში ნამცეცების ძებნით, ერთი ფურთხიანი პურის ლუკმა რო იპოვოს სადმე ნაგავში გაყოლილი, ის სიხარულით ცას ეწევა. იყვნენ ისინი. რა გვენაღვლება, ვჭამოთ მაგათი ლეში.

დაიჯერეთ, თავისივე ლეში რო ჩაუდოთ პირში, უთხრათ ჭამეო, ის მორჩილებით გაიღიმებს, არ გაწყენინებს.

თქვენ სხვა ხართ. მდევნით იმიტომ, რო გეშინიათ თქვენი. თქვენს დანახვაზედ მამაჩემს კანკალი აიტანს ხოლმე შიშით.

ყრრ! ყრრ! ჩემი ფიქრი ნუ გაქვთ. მეც თქვენი ძმა ვარ, მეც უკმაყოფილო ვარ, რადგან მშიან და მშიერის მოსაკლავად ჩვენს თავს რამდენჯერ ვაგდებთ საფრთხეში.

ყორანს საშინელი ლეშის სუნი უდიოდა, სამარის მძორისებური სუნი სულს გვიხუთავდა.

— ოჰ, ღმერთო, ღმერთო, მკლავს ლეშის სუნი! კვნესოდა გამოუცდელი ჭირუნახავი ჭაბუკი.

— გული მიმდის, ამხანაგებო, გავეცალოთ მა ჯოჯოხეთის მოციქულს. ჩვენ გზა დავადგით, სხვა მხარეზედ გადვუხვიეთ, ყორანს მოვერიდეთ. მაღლა მჯდომი ყორანი მობრუნდა, ეშმაკისებურმა ღიმილმა გადაჰკრა სახეზედ. სიბრაზით ნისკარტი გააკაპუნა, აფრინდა და ქალაქს ჩაუარა, თან თვალი ისევ ჩვენსკენ ჰქონდა, თან შეშინებული აქეთ-იქით იცქირებოდა.

— ყრრ! ყრრ! გვესმოდა კრანტალი. ჯერ ისევ ჩვენი სჯობია, გეშინოდეთ უბადრუკნო.

ჩვენ ფეხი ავაჩქარეთ, გზა იქით დავიჭირეთ, სადაც ყორნები ესწრაფებოდენ.

ყორნები თვალიდგან მიგვეფარნენ. შესწყდა იმათი საზიზღარი კრანტალი. აღარ სჩანდა არც ჩვენი თანამგზავრი ყორანი.

ამ დროს ყვირილი მოგვესმა.

— გავწყვიტოთ ეგ სისხლის მსმელები! გავაქროთ მაგათი სინსილა. ყვიროდა ახალგაზრდა წითელ პერანგა ბიჭი. თოფი ხელში ეჭირა და იქით მიისწრაფოდა, სადაც ყორნები მიეფარნენ. ჩვენც ფეხი ავაჩქარეთ.

გულმა სიამოვნებით იწყო ტოკვა.

საბრალო მსხვერპლი, ყორნებისაგან ნაწიწკნი და ნაწამები, როცა დაინახავს თოფიანს ბიჭს, ყორნების დასახოცად გამოქანებულს, თვითონაც სული ჩაედგმის, წინააღმდეგობის გრძნობა გაიღვიძებს მასში, და საწინააღმდეგოდ მოემზადება იმედიანი; აღარ მიუშვებს ლაჩრად გულს მოსისხლე ყორნებს საწიწკნად, გამახვილებულ ყურს არ გამოეპარება თოფის საამური გრიალი და ყორნების მომაკვდავი ჩხავილი.

ჩვენც ფეხაკრეფით მივეჩქარებოდით.

უცებ კიჟინამ შეგვაჩერა. ქუჩაზედ ხალხის ბრბო გამოიშალა.

წინ ბაღლები მოხტოდენ და გამარჯვების ხმაზედ კიჟინი გაჰქონდათ. მოხუცი და ახალგაზრდა ყველა საერთო სიხარულს მოეცვა და გაეტაცნა.

— მომეცით, ერთი თავი წავგლიჯო მაგ დაწყევლილს, ღრიალებდა ერთი ლურჯ პერანგიანი გაშმაგებით. ყელიდან უნდა წამოვარწყევინო ჩემი ძმის ხორცი. იყურეთ, [illegible]რეთ, ისევ ნისკარტში უჭირავს.

— მაჩვენეთ, გენაცვალეთ, ერთი ფრჩხილებით ყელი გამოვღადრო მაგ ეშმაკის კერძსა. [illegible]თმა გაშლილი ქალი. [illegible] ჩემი და-ძმანი. მამეცით, ამომაყრევინეთ ჯავრი.

მონადირეს ჩაეჭიდა კისერში ხელი დაჭრილი მხარმოტეხილი ყორნისათვის, მოათრევდა და თან ჟამ და ჟამ მაღლა აქნევდა, რომ ხალხს დაენახნა. ჯერ ისევ კაცის ახალ-ახალი სისხლითა ჰქონდა კლანჭები და ნისკარტი მოსვრილი. თვალები დასწითლებოდა და წამოჰკაკვლიყო. რაც ძალი და ღონე ჰქონდა კლანჭებს ფართხავდა და ცდილობდა მონადირესათვის მოეხვედრებინა, რომ ყელში წაჭერილი ხელი როგორმე მოეშორებინა ყელიდან.

ყორანს სრულაც არ ეტყობოდა, თუ შებრალებას სთხოვდა ამ ხალხს. იცოდა, რომ კაცის ხორცის მჭამელს და სისხლის მსმელს შეწყალება და შებრალება აღარ ეღირსებოდა კაცთაგან. იცოდა, რომ სამაგიეროს უცდიდენ ისევე დაუნდობლად, როგორც აქამდე ის არ ინდობდა ხალხსა. იცოდა ადრევე, რომ ბოლო ასეთი იქნებოდა.

ჩვენ ვიცანით ჩვენი თანამგზავრი ყორანი. იმანაც დაგვინახა და უფრო ძალიან გაიფრთხიალა, თითქო ნანობდა, ახ რა გამოუცდელი ლუკმები წამივიდენ ხელიდანაო. ხალხი კი კიჟინას და წყევლა-კრულვას აყრიდა და მუშტებს სცემდა.

აბობოქრებული ბრბო ყვირილით გაგვცილდა. ის ახლა სხვა ყორნების ხელში ჩასაგდებად და სისხლის საზღვევლად მიემართებოდა.

***

# თ. რაზიკაშვილის მოთხრობა „ყორანი"

**მ. დუდუჩავა**

თედო რაზიკაშვილის დაუბეჭდავი მოთხრობა „ყორანი", რომელიც ან. თ. წერეთლის ლიტერატურულ არქივში აღმოჩნდა, ალეგორიულია და 1905 წლის რევოლუციას ეხება. მოთხრობა დაწერილია 1905 წლის აგვისტოში. ე. ი. მაშინ, როდესაც განვითარების შუა გზაზე მიმავალი რევოლუცია თან დათან მძაფრდებოდა. მაგრამ ბრძოლების უკანასკნელ საზღვარამდე ჯერ კიდევ არ იყო მისული. „ყორანშიც", რევოლუციის განვითარების ეს ნაწილი რევოლუციის მიერ განვლილი გზის პირველი ნახევარი — არის ზოგად და ალეგორიულ ფორმებში მოცემული. დასახელებულ მოთხრობაში განსაზღვრული სოციალური კონცეპციის თვალსაზრისით არის ათვისებული. მწერალი მოთხრობის მიხედვით, აჯანყებული ხალხის მხარეზე დგას და თავისუფლებისათვის მებრძოლი რევოლუციის კონცეპციის თვალსაზრისით არის ათვისებული. მწერალი მოთხრობის მიხედვით, აჯანყებული ხალხის მხარეზე დგას და თავისუფლებისათვის მებრძოლი რევოლუციის თვითმპყრობელობაზე გამარჯვების ყოველ ნაბიჯს აღფრთოვანებული ეგებება. მას უყვარს რევოლუციის იდეები, მაგრამ მხოლოდ განსაზღვრულ მიჯნამდე და ეშინიათ თვით რევოლუციის, რადგან რევოლუცია ბარიკადებზე ხდებოდა და ბარიკადებს კი სისხლი და სიკვდილი უყვარს.

ასეთია მოთხრობის ძირითადი ტენდენცია. ამ ტენდენციის მიხედვით თ. რაზიკაშვილი, როგორც დაგვიანებული ხალხოსანი, რომელმაც ხალხოსნური იდეების საბოლოოდ დამარცხების შემდეგ სოციალ-ფედერალიზმის პარტიულ გზას გაყვა, — რევოლუციის ზოგადი იდეების და ძირითადი სოციალური შინაარსის საფუძველზე დგას, რომელიც კლასიურად, როგორც ცნობილია, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული იყო, მაგრამ მას ეშინია და ამ ნიადაგზე ის წინააღმდეგია რევოლუციის ფორმის — რევოლუციის ბრძოლის მეთოდების, (ბარიკადების, შეიარაღებული შეტაკების, ბრძოლის, სისხლის).

თ. რაზიკაშვილი არ არის დიდი მწერალი. ის ვაჟა-ფშაველას დიდი პოეზიის ჩრდილშია მოთავსებული. მაგრამ მას როგორც ნიჭიერ პროზაიკოს, მაინც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ამასთანავე ერთად ის თავის თაობის ქართველი ინტელიგენციის მნიშვნელოვანი და თავისებური წარმომადგენელია. ამიტომ მისი შემოქმედების შესწავლას აუცილებელ მნიშვნელობა აქვს, როგორც ქართულ ლიტერატურის საერთო ტრანსფორმაციის, აგრეთვე მისი ეპოქის სოციალური, იდეოლოგიური და ლიტერატურული პორტრეტის შესწავლისათვის. ამ მხრივ მის ლირიულ ესკიზს —„ყორანს", როგორც მწერლის ერთ-ერთ უკეთეს ნაწარმოებს, დიდი მნიშვნელობა აქვს. „ყორანი" საინტერესო მხატვრულ დოკუმენტს წარმოადგენს ისეთ მნიშვნელოვან საკითხის შესწავლისათვის, თუ როგორ შეხვდა ქართველი ინტელიგენცია და კერძოთ ქართული მწერლობა 1905 წლის რევოლუციის ქარტეხილს.

მოთხრობის ავტოგრაფი ავტორის ორ მინაწერს შეიცავს: პირველი მინაწერი მოთავსებულია ავტორის პირველ გვერ-

დზე და სათაურს ზემოთ: „ივერიას“ „რედაქციაში“, მეორე—უკანასკნელ გვერდზე: მოთხრობის დასრულების და ავტორის ხელის მოწერის შემდეგ. მეორე მინაწერი „ივერიის“ რედაქტორისადმი პირად მიმართვას წარმოადგენს და შემდეგ შინაარს შეიცავს: „ბ. რედაქტორო, ფულები ძალიან მიჭირს და ეს მოთხრობა ეგები „ივერიის“ ახლობელ №-ში მოათავსოთ, რითაც ძალიან დამავალებთ. იმ კვირას ჩამოვალ. პატივისცემით თ. რაზიკაშვილი“.

ორივე ეს მონაწერები წაშლილია იმავე მელნით, რომლითაც შესრულებულია თვით ავტოგრაფი და მინაწერები (ავტოგრაფი და მინაწერები შესრულებულია შავი მელნით); — და როგორც მოთხრობის შემდეგი ისტორიის საფუძველზე ირკვევა თვით ავტორის მიერ, მოთხრობის „ივერიაში“ დაბეჭდვის შესახებ აზრის გამოცვლის გამო.

მოთხრობის შენახვის ადგილი, საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ „ივერიაში“ მოთხრობის დაბეჭდვის ირგვლივ აზრის შეცვლის შემდეგ, ავტორს მოთხრობა ან. თ.-წერეთლისათვის გადაუგზავნია,—რომელთანაც მას მჭიდრო ლიტერატურული, საზოგადოებრივი და პირადი ურთიერთობა, მიწერ-მოწერა ჰქონდა. (თ. რევაზიშვილი ამ დროს [illegible] ხელთუბანში ცხოვრობდა) ან. თ. წერეთლისას მოთხრობა არ გამოუქვეყნებია, რის გამოც მოთხრობის [illegible] თავრესად გამოუქვეყნებელ [illegible] რებს და პირად წერილებს [illegible] ხებოდა, რომლებიც თვით ან. თ.—წერეთლისას, „კვალი“-ს და ანასტასიას საბავშო ჟურნალების („ჯეჯილი“, „ნაკადულის“) თანამშრომლებს ეკუთვნის და განსვენებულ ან. თ. წერეთლის, ყოფილ ბინაზე ინახება.

# საქართველოს საბჭოთა ქანდაკება

## ლ. ქიქოძე

თანამედროვე ქართულ საბჭოთა ქანდაკების ხელოვნებას არა აქვს დიდი ხნის ისტორია. თუ რევოლუციამდე საქართველოში არ იყო არც ერთი მოქანდაკე, დღეს იმათი რიცხვი ათეულობით მოგვეპოვება. დღეს, საბჭოთა საქართველოს სინამდვილეში მუშაობს უკვე გამოცდილ მოქანდაკეთა პლეიადა, სახალხო მოქანდაკე პროფ. **ი. ნიკოლაძის** ხელმძღვანელობით. ი. ნიკოლაძის ატელიებში გაიზარდენ ისეთი ნიჭიერი ახალგაზრდა მოქანდაკეები, როგორიც არიან მაგ. **ს. კაკაბაძე, შ. მიქატაძე, ე. თოფურიძე, ვ. კოტეტიშვილის რ. თავაძე** და სხვები.

მე-20 საუკუნის დასაწყისი წლებიდან, დიდი ხნის დუმილის შემდეგ იწყება ქართული ქანდაკების ისტორიის განახლება. ამ ისტორიის პირველი ფუძემდებელი ი. ნიკოლაძეა, რომელსაც დღესაც საქართველოს გასაბჭოების 13 წლის თავზე გამართულ ბიუსტები და ბარელიეფები. უმაღლესი ოსტატობა უდიდესი ენერგია და სიმტკიცე, კანონზომიერება და მიზანდასახულობა—აი, რით ხასიათდება ამ ცხოვანი ხელოვნების შემოქმედება.

ლენინის ბიუსტი — სწორად ამ დადებითი თვისებების განსახიერებაა. მეტად ძნელი საქმეა ებრძოლო მტკიცე მარმარილოს, საკუთარი სურვილის მიხედვით აამოქმედო სიცოცხლის იდეია, შთაუნერგო იდეა და აამეტყველო.

ლენინის ბიუსტში საუკეთესოდ არის გამოხატული ბელადის შორსმჭვრეტელობა, მისი მებრძოლი ტემპერამენტი, მისი დამცინავი, ირონიული ღიმილი. ეს ნამუშევარი შეიდეგათ უნდა ჩაითვალოს ყველა დღეს არსებულ ლენინის ბიუსტებს შორის მთელს **საბჭოთა კავშირში.**

სიცოცხლეს გაუღვიძია აგრეთვე ამხ. სტალინის ბიუსტშიაც. თითქოს სადაცაა უნდა დაიწყოს ამხ. სტალინმა ლაპარაკი, ასე გვეგონებათ მისი შეხვედრისას. აღნიშნული ბიუსტი მეტად საგულისხმოა თავისი შესრულების ტეხნიკით

ლენინის ბიუსტის გვერდით პეტრე მელიქიშვილის ბიუსტია. მეცნიერი ჩაფიქრებული, თითქოს უნდა გადასწყვიტოს ახალი ამოცანა ქიმის მეცნიერებაში. ასევე საყურადღებოა თავისი მაღალოსტატური შესრულებით. მარქსის, ამხ. ფილიპეს და სხვ. ბიუსტები. საზოგადოთ ი. ნიკოლაძის შემოქმედება დაზგური სალონური ქანდაკებით განისაზღვრება. ოგიუსტ როდენის შემოქმედებითი მეთოდი გამოსჭვივის ნიკოლაძის თვითეულ ნაწარმოებში.

მეორე გზა თანამედროვე ქართული ქანდაკების განვითარებისა მიიმართება მონუმენტალიზმის გზით. თუ დაზგური ქანდაკება იძლევა ადამიანის ფსიქოლოგიურ განწყობილებას — მონუმენტალური ქანდაკება იძლევა ადამიანთა და მოვლენათა პლასტიკის უმახვილეს ფორმებს მოძრაობა, დინამიკა კანონზომიერების ფარგლებში აი, ქართული მონუმენტალური ქანდაკების განვითარების თანამედროვე გზები.

ნ. კანდელაკის შემოქმედება სწორედ ქანდაკების ამ დარგს ემსახურება. მისი **„ბოქსიორი“ და „მობანავე ქალი“** ამ პრინციპის განსახიერებას წარმოადგენენ. მასვე ეკუთვნის ნ. ქუმსიაშვილის ბიუსტიც ეს ბიუსტი მიუხედავად ტანის გაუბრალოებისა, გაფიქრებირებს — თითქო სადაცაა ყელმოღერებულმა არტისტმა უნდა დაიწყოს სიმღერა და ელოდება ხალხის დაწყნარებასო. ეს განწყობილება აუცილებლად იქმნება — ასეთი განწყობილების შექმნა ხელოვანის გამარჯვებას მიეწერება. საზოგადოდ ნ. კანდელაკის შემოქმედების განხილვა იმ სამი ექსპონატით, რომელიც ამჟამად გამოფენილია. შეუძლებელია მას მეტი შესაძლებლობა აქვს. ამას ამტკიცებს **მისი ელბაქიძის** ძეგლი, რომელიც თითქმის დამთავრებული აქვს თავის ატელიეში.

ამავე დარბაზშია გამოფენილი ახალგაზრდა მოქანდაკეების მიქატაძის და ე. თოფურიძის გამოფელინლნი სუვოზსუვოზგუფურიძის ნაშრომები. ამ ორი ახალგაზრდის ნაშრომები შესრულების ტექნიკით სხვავდება ერთი მეორისაგან. პირველი მიდის მონუმენტალური ქანდაკების გზით— ხოლო მეორე დაზგურისა, — იმპრესიონიზმი ქანდაკებაში მტერია ინტენსიობის, ფორმათა პლასტიურობისა. ფორმის ზედაპირის იმპრესიონული მანერით დამუშავება გვაახლოვებს ესტეტიზმთან, რომელიც უგულებელ ყოფს ფორმათა კონკრეტობას და დინამიურობას.

**მ. სესიაშვილს** მოცემული აქვს რელიეფი **„მიჯნის ამოგდება“** — თუმცა აღნიშნული ნამუშევარი ფორმალისტურ დაღს ატარებს.

საინტერესოა **ს. კაკაბაძის „შეძლებული კოლმეურნე ოჯახი“.** კმაყოფილებით აღსავსეა ამ რელიეფში მოცემული თვითეული ფიგურა, **თვით ცხოვრებაშიც კი.**

მ. ცერცვაძის რელიეფი „ჩინეთში“ დამაკმაყოფილებლადაა შესრულებული, მაგრამ უფრო საინტერესო იქნებოდა, რომ მას მიეცა თანამედროვე ჩინეთის რევოლუციონური მუშა მისი ოჯახით ბრძოლის პროცესში.

მხატვარის ამოცანა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მან გადმოსცეს ერთგვარი მოდუნება, პასიობა მოვლენებისა, არამედ მან უნდა გაამახვილოს ის მოვლენა, მისცეს დინამიურობა, დააყენოს მოვლენა მისი მიზეზის მოპირდაპირეთ — მისცეს მოვლენა მის დიალექტიურ განვითარების პირობებში.

მონუმენტალურ ქანდაკების პრინციპს არ ღალატობს მოქანდაკე **რ. ამიროვი.** მის ნამუშევრებში აუცილებლად იგრძნობთ ენერგიას, სიყვარულს მუშაობისადმი, რაც მოქანდაკის შემდგომი ზრდის თავდებია. გამოფენაზედ არიან ახალგაზრდებიც (აკადემიის სტუდენტები) მათ ნამუშევრებს ეტყობა შემოქმედების ნიშან-წყალი, მაგრამ ზოგი მათგანი სიმბოლიზმისაკენ იხრება: (მაგ. **მაისურაძე** თავის „ინტერვენცია“-ში) იმედს იძლევა აგრეთვე შემდგომი ზრდისას **ი. კერესელიძის და ხოფერიას** ნამუშევრები.

სამწუხაროდ გამოფენაზე ვერ მოსჩანს ზოგ ნიჭიერ მოქანდაკეთა ნამუშევრები, როგორიცაა მაგ. ვ. კოტეტიშვილი, პატარაძე, ვაწაძე და სხვები. მიუხედავათ ზოგ უმნიშვნელო დეფექტებისა, რომლებიც ახასიათებს წარმოდგენილ ზოგიერთ ექსპონატებს, ქართულმა ქანდაკებამ მაინც გვიჩვენა თავისი განვითარების და თუ გნებავთ აღორძინების გზები.

ფასი 60 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. 68.

მთავლიტის რწმუნებული ს—45